მილოცავთ ახალ 2010 წელს!

გფარავდეთ ღმერთი, იყავით ბედნიერები!

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

№ 47 (110) 29 დეკემბერი 2009 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

გაგეთ „ილორის“ რედაქციას და სრულიად საქართველოს გულოცავ ახალ 2010 წელს, გისურვებთ ბედნიერებას, წარმატებას, ჯანმრთელობას, დამოუკიდებელ, თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში ცხოვრებას!

ალექსანდრე ჭაჭია

ლავრენტი ბერია — ქართული გენია 4

გაზეთი "ილორი" შეხვდება რუბრიკას "ათი საუკეთესო კლუბი"

"ბარსელონა" ესპანეთი 12

სახელისუფლებო საახალწლო ნობათი
გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს„ დარბეული ოფისი 2

უსასრულო ჭირთათმენა თვითმკვლელობაა, რაც მოუნანიებელი ბიბლიური ცოდვაა! 5,12



ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს. 9

მამონასაგან შეშლილი მსოფლიო 7

დავით შოთაძე, კობლენცი, გერმანია

თენგიზ კუბლაშვილი

გილოცავთ ახალ წელს!

კიდევ ერთი წელი გაილია შრომასა და ბრძოლაში და ახალი წელი მოგვადგა კარს, ახალი იმედების მომლოდინეთ!

ბედნიერი იყოს თქვენთვის – ეს წელი მაინც! **"მაინც"** იმიტომ, რომ წინა პერიოდს უბრალო მოკვდავთათვის სახეირო არაფერი მოუტანია და მათი მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმებულია.

მაგრამ, ახალი წელი ხომ ახალი იმედების წყარო და მომავალი სიკეთის მაუწყებელია!

სწორედ ეს იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, ჩვენო საყვარლებო და ძვირფასებო!

უფრო მძიმე წლები სდგომია საქართველოს, მაგრამ ვაჟკაცურად გადაუტანია. ჩვენც უნდა გავუძლოთ საქართველოს სულითა და ხორცით არაქართული ხელისუფლების მიერ თავსმოხვეულ ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური განადგურების პოლიტიკას, რადგან, ნებისმიერი სახადი, რაოდენ დაუძლეველიც არ უნდა იყოს, დიდხანს მაინც ვერ ბოგინებს და ადრე თუ გვიან აღსასრული დაუდგება ხოლმე! იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოში დასავლეთის უზნეობის ჯუნგლებიდან მონაბერ ქარს შემოყოლილი **"ნაციონალების"** ხელისუფლება მალე კვლავ ქარს გაჰყვება, ჩვენს სამშობლოს სადაგი დღეები დაუდგება და ქართველი ერიც მშვიდად ამოისუნთქებს!

2009 წელს წავიდა და მას სირცხვილის ჩრდილად თან გაჰყვა მიხეილ სააკაშვილის ომახიანი წინასაარჩევნო შეპირება იმის თაობაზე, რომ ამ წლის დასასრულისათვის პენსია ასი დოლარის ექვივალენტი გახდებაო. ყველაფერი პირიქით მოხდა – ხელისუფლების მიერ გატარებული არაგონივრული პოლიტიკის წყალობით წამლებზე, პირველადი მოხმარების საგნებსა და საკვებ პროდუქტებზე ფასები იმდენად გაიზარდა, რომ პენსიონერებს, ფაქტიურად, აქამდე რომ იღებდნენ ის მათხოვრული პენსიაც გაუნახევრდათ.

ვისაც კიდევ ჰქონდა ამ ხელისუფლების იმედი, იმასაც გაუქრა!

მიუხედავად ამისა, ხელისუფლება კვლავ აგრძელებს თავის იაფფასიან სატელევიზიო შოუებს და ვითომ **"ხალხისადმი თანაგრძნობით"** გამსჭვალული პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე თუ უმრავლესობის წარმომადგენელი დეპუტატები ხან ერთ პენსიონერს ესტუმრებიან, ხან მეორეს და იაფფასიანი დაპირებებით კვებავენ მომავლის იმედგადაწურულ, გაჭირვებისაგან გრძნობამოშლილ და იმედდაჩლუნგებულ ხალხს.

მაგრამ საქართველოს უკვე მტკიცედ აღარ სჯერა!

აღარ სჯერა, იმიტომ, რომ ძალით მოსული ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების ასევე ძალით ჩამნაცვლებელმა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ ქართველ ხალხს მხოლოდ განუკითხაობა, შიმშილი, და ვაება მოუტანა!

იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ იურიდიულად გააფორმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოსაგან მოწყვეტა და ახლა ყასიდად ფაფხურობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად!

იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ ხალხს გაუყიდა ყველა სტრატეგიული ობიექტი და ეკონომიკა ერთ მუჭა მყვლეფავებსა და მთქვლეფავებს ჩაუგდო ხელში!

იმიტომ, რომ პირადობის მოწმობიდან გაგვიქრეს მამის სახელისა და ეროვნების მიმთითებელი გრაფა.

იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ დღისით-მზისით, ხალხის თვალწინ დაუნდობლად დახვრიტა უდანაშაულო ახალგაზრდები!

იმიტომ, რომ **"სამართალდამცველებმა"** მხეცურად მოკლეს გირგვლიანი, ვაზაგაშვილი, რობაქიძე, გამცემლიძე და სხვა უდანაშაულო ახალგაზრდები!

იმიტომ, რომ საქართველოში გაიზარდა თვითმკვლელობათა სტატისტიკა!

იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ გაანადგურა განათლების სისტემა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები!

იმიტომ, რომ ღვაწლმოსილი ადამიანები **"ჩარეცხილებში"** ჩარიცხა!

იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ მკვეთრად გაზარდა უმუშევართა რიცხვი, რის გამოც ლუკმა-პურის საძებრად საქართველოდან უცხოეთში გადახვწილია მილიონზე მეტი ქართველი!

იმიტომ, რომ ხელისუფლებას აღარც ეკლესიისა სჯერა და აღარც ხალხის!

იმიტომ, რომ ყველა სახელისუფლო სტრუქტურაში და მათ სატელიტ არასამთავროებში თვალთმაქცობა და სიცრუეა დავანებული!

იმიტომ, რომ ხელისუფლების ნებიერა **"თავისუფლების ინსტიტუტი"** სულიერი და ხორციელი გარყვნისაკენ მიუძღვის ქართველ ახალგაზრდობას!

იმიტომ, იმიტომ, იმიტომ...

უსასრულოა ყველა იმ უკეთურობის ჩამონათვალი, რაც ამ ხელისუფლებამ ქართველ ხალხს შეაჩეჩა ხელში!

მაგრამ მაინც სულდგმულობს იმის იმედი, რომ **"ნაციონალების"** ხელისუფლება მალე ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდება და ხალხის მეხსიერებას უკეთურ სიზმრად შემორჩება საქართველოში მათი ბოგინის წლები!

ამის იმედად მყოფნი მოგილოცავთ ახალი 2010 წლის დადგომას, გისურვებთ გაძლებას, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს!

გაზეთ "ილორის" რედაქცია

მოლოცვაც ასეთი უნდა, მაგრამ განა შარშანაც ასე არ მოგვილოცეს?!

არასამთავრობო ორგანიზაცია "ისტორიული მემკვიდრეობის" და გაზეთ "საქართველო და მსოფლიოს" ოფისი მეორედ დაარბიეს. გამორიცხულია, რომ ხელისუფლებამ ქურდების კვალს მიაგნოს, რადგან თავად არიან ამ საძრახისი საქმის ჩამდენი...

"შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო" – ამბობდა დიდი შოთა. სწორედ გარდაუვალი სიკვდილის შიში აკარგვინებს სახეს საქართველოს არაქართულ ხელისუფლებას, რომელიც აბობოქრებულ მორევში ჩავარდნილი, დასახრჩობად განწირულივით უაზროდ იქნევს ხელ-ფეხს და საკუთარი უმწეო ყოფის გადასარჩენად ყოველგვარ სიბინძურეზე მიდის. მომაკვდავის ხროტინს წააგავს უგვანოთა ყოველი გაფართხალება, რადგან იციან, რომ სიმართლისაგან ზურგშექცევით დგომა სრულიადაც არ ნიშნავს ამ სიმართლის არარსებობას! როცა ხელისუფლებას აღარ ძალუძს საკუთარ მოქალაქეებთან დიალოგის გამართვა, როცა იგი ყოველნაირად არიდებს თავს მისთვის საჩოთირო საკითხებზე მსჯელობას, მაშინ მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ იმოქმედოს იმ ქურდების მეთოდიკით, რომლის ინსტიტუტი ვითომ გაანადგურეს საქართველოში. სინამდვილეში, კი არ გაანადგურეს, არამედ თვითონ ჩაენაცვლნენ ქურდებს და მეტი უზნეობით მოქმედებენ, რადგან, ასეა თუ ისე, ქურდებს მაინც გაჩნდათ გარკვეული ადამიანური საზღვარი და მას არასოდეს გადააბიჯებდნენ. ამათთვის კი არავითარი ზღვარი და შეზღუდვა არ არსებობს, თავხედურად მოქმედებენ, სასოწარკვეთამ ადამიანის სახე დააკარგვინა და ამაში დარწმუნდებით, როცა ქვემორე სტრიქონებს წაიკითხავთ:

„საქართველოში აკრედიტებული საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საყურადღებოდ!

ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ **„ისტორიული მემკვიდრეობა"** მოამზადა და გამოსცა წიგნი–კრებული სახელწოდებით **„უუფლებობის ზონა"**, რომელშიც მოთხრობილია საქართველოში ადამიანის უფლებების და დემოკრატიის პრინციპების უხეში დარღვევების და რიგ შემთხვევებში – სრული იგნორირების შესახებ და მოცემულია ამის მიზეზების ჩვენეული ხედვა.



წიგნის პრეზენტაცია შედგა 2009 წლის 10 დეკემბერს – ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს და მასზე პერსონალური მოსაწვევებით მოწვეული იყვნენ თბილისში არსებული ყველა საელჩო და საერთაშორისო ორგანიზაცია. აზერბაიჯანის, ირანის, უკრაინის და შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოების გარდა, ჩვენს ღონისძიებას და ჩვენს მიერ გამოცემულ წიგნს არავინ ყურადღება არ მიაქცია.

დაინახეს რა დიპლომატიური კორპუსის ასეთი უინტერესობა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გამეფებული განუკითხაობისადმი, მავანმა ეს წაქეზებად აღიქვა და ანგარიშსწორებამაც არ დააყოვნა: 19 დეკემბერს გამთენიისას ბოროტმოქმედებმა დაარბიეს **„ისტორიული მემკვიდრეობის"** და გაზეთ **„საქართველო და მსოფლიო"**–ს მეზობლად მდებარე ოფისები, გაზიდეს კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა და მთლიანად გაიტანეს **„უუფლებობის ზონა"**–ს მთელი ტირაჟი, რომელიც ადგილზე ინახებოდა. **„საქართველო და მსოფლიო"** ახორციელებდა **„ისტორიული მემკვიდრეობის"** საქმიანობის საინფორმაციო მხარდაჭერას და გაზეთის 16 დეკემბრის ნომერში ფართოდ იყო გაშუქებული წიგნის გამოცემის თემა და მისი შინაარსი. ამ ანგარიშსწორების აქტის შედეგად პარალიზებული აღმოჩნდა ჩვენი საზოგადოების და გაზეთის ჟურნალისტური კოლექტივის საქმიანობა.

ამ მიმართვით კიდევ ერთხელ ვცდილობთ მივაპყროთ თქვენი ყურადღება ადამიანის უფლებების დაცვის სავალალო მდგომარეობას საქართველოში და იმ ორგანიზაციათა წინააღმდეგ განხორციელებულ სადამსჯელო ზომებს, რომლებიც ხმას იმაღლებენ ხელისუფლების დ ი ქ ტ ა ტ ო რ უ ლ – ტ ო ტ ა ლ ი ტ ა რ უ ლ მეთოდებზე, ყოველივე განსხვავებულის და განსხვავებული აზრის გამომხატველთა მიუღებლობასა და დევნაზე.

მოგიწოდებთ ჯეროვანი შეფასება მისცეთ საქართველოს ხელისუფალთა პოლიტიკას და გადახედოთ მათდამი თქვენს დამოკიდებულებას და გახდეთ კრიტიკულნი მათს შეფასებაში.

გთხოვთ, თქვენი ქვეყნების მთავრობებს აქაური ვითარების ანალიზი მიაწოდოთ არა მხოლოდ სამთავრობო განცხადებებიდან გამომდინარე, რამეთუ დიპლომატებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის სიჩუმეს საქართველოს ხელისუფლება აღიქვამს მდუმარე თანხმობად საკუთარი განუკითხავი საქმიანობისადმი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავთ ახალ წელს!

მახვილი მხილებისა

გაზეთ "საქართველოს სამრეკლოში" ამ ინტერვიუს გამოქვეყნებიდან (15 ივნისი, 1993 წელი) რამდენიმე თვეში საქართველოს პირველი და ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოწამეობრივად აღესრულა – იგი ვერაგულად მოჰკლეს საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა. ზვიადის მკვლელების ლოგიკა, მათი გადმოსახედიდან, სავსებით ლოგიკურია, რადგან ღრმად განსწავლული წმინდანი, მართლმადიდებლური რელიგიის კანონებიდან გამომდინარე, თავდაუზოგავად ებრძოდა ყველა იმ მანკიერებას, რასაც ესოდენ დიდი წარმატებით ნერგავს ყველა ქართველის სულსა და შეგნებაში მის შემდეგ ცეცხლითა და მახვილით მოსული ვერაგი ხელისუფალი. ზვიადი ფიზიკურად მოსპეს იმიტომ, რომ დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა ქარველ ხალხში და ერი არასოდეს შეურიგდებოდა მის სამშობლოდან გაძევებას ერთი მუჭა კრიმინალების მიერ, რომელთაც მხარს უჭერდნენ ევროამერიკელი ჟიდო-მასონები. მერაბისა და ზვიადის სიკვდილის მიზეზად იქცა მათი უსაზღვრო სიყვარული "ერის, მამულისა და სარწმუნოებისადმი", რაც პრეზიდენტის ერთ-ერთ უკანასკნელ წერილშიც გამოსჭვივის...

მკითხველს მცირეოდენი შემოკლებით ვთავაზობთ აღნიშნულ ინტერვიუს.

– ბატონო პრეზიდენტო! თავისთავად გასაგებია ქართველ მორწმუნე საზოგადოების სურვილი (მით უმეტეს, ყოველივე მომხდარის შემდეგ), გაიგოს თავისი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის თავკაცისა და პრეზიდენტის კომპეტენტური აზრი იმის თაობაზე, თუ ამჟამად მართლმორწმუნე მამულიშვილმა ღვთისა და ერისადმი სრულყოფილი მსახურებისთვის რა შეიძლება მოიფიქროს და მოიმოქმედოს?

– ბოროტებისადმი დაუმორჩილებლობა ქრისტიანული ეთიკისა და პრაქსისის საფუძველთა საფუძველია. რა იყო პირველქრისტიანთა ცხოვრება, თუ არა უღმერთობისა და უზნეობისადმი დაუმორჩილებლობა? ქრისტიანობამ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში, რამეთუ საღვთო წერილი გვასწავლის: **"საჭურვლად გარე მოგადგეს შენ ჭეშმარიტება მისი"**, ხოლო სიმართლისათვის დევნა სახარების პირველი ნეტარებაა. ის, ვინც არ იბრძვის სიმართლისათვის და არ არის დევნილი, არც ქრისტიანია. ამასთან, ყოველი დროის ტირანები ცდილობენ გაყალბებას მოციქულთა სიბრძნისას – ხელისუფლებისადმი დამორჩილების შესახებ. როგორც ცნობილია, მოციქულები მოგვიწოდებენ ხელისუფლებისადმი დამორჩილებას, რამეთუ, მათი თქმით, ყოველი ხელისუფალი ღვთისგანაა. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მოციქულთათვის სიტყვა **"ხელისუფლება"** ნიშნავს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, კანონიერ ხელისუფლებას და არა უკანონო, ყაჩაღურ, უზურპატორულ ხელისუფლებას, რომელიც სატანისგან არის და არა ღვთისაგან.

რა შეიძლება მოიფიქროს და მოიმოქმედოს დღეს ჭეშმარიტად მართლმადიდებელმა და საკუთარი ერის მოყვარე ქრისტიანმა? მთავარზე უმთავრესია, ბრძოლა ჭეშმარიტი ქრისტიანობის აღორძინებისათვის, რასაც მრავალ დაბრკოლებას უქმნის ქვეყანაში გაბატონებული ანტიქრისტე. ქრისტიანობა არა მხოლოდ ქადაგებით, არამედ საქმით, ბრძოლა სატანასთან, როგორც სულიერ, ასევე ფიზიკურ პლანში. უაღრესად საჭიროა ნამდვილი მოძღვარნი, რომელთაც ძალუძთ არა მხოლოდ ლოცვა და ქადაგება, არამედ ეშმაკეულ ადამიანთა განკურნება, მათი სულიერად განწმენდა და გადარჩენა. უნდა გვახსოვდეს, რომ ეგზორციზმი ახასიათებდა არა მარტო კათოლიკურს, არამედ მართლმადიდებლურ ეკლესიასაც... გვახსოვდეს, რომ ასურელი მამები: გრიგოლ ხანძთელი, გიორგი, ექვთიმე და იოანე მთაწმინდელები უდიდესი ეგზორცისტები იყვნენ, რაც ჩანს მათი ცხოვრებიდან; ასეთები იყვნენ, აგრეთვე, ჩვენს დიდ მღვდელმთავართა შორის უმეტესნი. მღვდელმთავრის ჩაცმულობაში ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტია **"ენქერი"**, რომლის დანიშნულება დღეს მრავალმა სამღვდელო პირმაც აღარ იცის. ენქერი არის სულიერი მახვილი, რომლითაც მღვდელმთავარმა სულიერ პლანში უნდა განგმიროს ბოროტი არსებანი და დათრგუნოს ისინი...

– ისტორიულად მრავალგზის დადასტურებული ჭეშმარიტებაა, რომ ერის გადარჩენისა და აღორძინებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ჯერ ეკლესიის განწმენდაა საჭირო...

– მინდა შეგახსენოთ ქრისტიანული ღვთისმეტყველების და ჰაგიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი (სწორედ ეს ჰაგიოგრაფია ამოიღო განათლების ყოფილმა მინისტრმა კახა ლომაიამ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან – **"ილორი"**) ტერმინი **"მართლმხილება"**, რაც აგრეთვე ქრისტიანული პრაქსისის საფუძველია. ჭეშმარიტების სამსახური მარტო მის აღიარებაში როდი გამოიხატება. ეს სამსახური, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს სიცრუისა და ბოროტების მხილებას. მაცხოვარი ჩვენი მართლმხილების გამო აცვეს ჯვარს, მართლმხილების ძალამ, ღვთის ძალამ აღადგინა იგი მკვდრეთით და ცად აამაღლა. მწიგნობართა, ფარისეველთა და ცრუ მღვდელმთავართა მხილება იყო მისი ქადაგების ძირითადი მიზანი. ხალხს უნდა განვუმარტოთ განსხვავება ეკლესიასა და ფიზიკურ ტაძარს შორის. ეკლესია სულიერი გაგებაა, ეკლესია სულიერად არსებობს და ბჭენი ჯოჯოხეთისანი მას ვერასოდეს მოერევიან; ეკლესია მოძღვრებაა, ღვთის, ზეციურ არსებათა და წმინდანთა ერთობლიობაა. ეკლესია იდეაში არსებობს, ხოლო ტაძარი მატერიალურია და ამქვეყნად არსებობს. ყველა ტაძარი რომ შემუსროს ბოროტმა ძალამ თავისი მსახურებითურთ, ეკლესიას მაინც ვერ გაანადგურებს. ანტიქრისტეს ძალუძს თავისი გადაცმული მსტოვრები შეაგზავნოს ტაძარში, ეკლესიაში ვერ შეაგზავნის. ეკლესიის ისტორიას შეიძლება ეწოდოს **"ჭეშმარიტების ისტორია"**, ამბობდა პასკალი. **"ის დევნულებანი, რომელნიც დაატყდნენ თავს ეკლესიას, ჰგვანან იმ ქარიშხლის მოქმედებას, რომელიც ებრძვის ჩაუძირავ გემს"**. აი, ეს ეკლესიაა დაფუძვნებული **"კლდესა ზედა"**, ხოლო კლდე – საღვთო ჭეშმარიტებაა. რაც უფრო მიემსგავსება ტაძარი ეკლესიას, მით უფრო მიუახლოვდება ამ იდეალს, მით უფრო სრულყოფილია იგი. ღვთის ტაძარში მოკალათებულ ანტიქრისტეს მსახურების მხილება კი ყველა ქრისტიანის უპირველესი მოვალეობაა. ამის გამო საუბრობენ ანტიქრისტეს მსახურნი მხოლოდ დაძარზე (templum), ეკლესიაზე კი არას ამბობენ, რამეთუ მათთვის მთავარია ნივთიერი და არა სულიერი. სულიერ ეკლესიას კი ებრძვიან აშკარად თუ ფარულად. ამიტომ არის მათი ღმერთი რქებიანი და ჩლიქებიანი **ბაფომეტი**, ანდროგენული ურჩხული, რომელსაც თავზე ჩირაღდანი ადგას და რომელსაც ისინი უწოდებენ **"templum omnium hominum pacis abbat"** (**"ყოველთა კაცთა მშვიდობის ტაძრის მამა"**). **"თქვენ მამისა ეშმაკისანი ხართ"** – ეუბნებოდა იესო ქრისტე ასეთ ადამიანებს. ჩვენთვის კი მამაა ღმერთი, ეკლესიის თავი და არა ცრუ ტაძრის კერპი. ამისთვისაა საჭირო ქრისტიანული განმანათლებლობა, რომელიც განუმარტავს ყოველივე ამას გაუთვითცნობიერებელ ხალხს. მიწიერი ეკლესია, ამქვეყნიური ადამიანებისგან შემდგარი, უნდა ბაძავდეს ზეციურ ეკლესიას, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში ასეთი რამ თითქმის აღარ არსებობს...

– დღევანდელი სულიერი სიდუხჭირის ჟამს შესძლებს თუ არა ერი, რომ მისმა ძირითადმა ბირთვმა ეკლესიური და ტრადიციული მართლმადიდებლური ცხოვრებით იცხოვროს, სახელმწიფო კი ამგვარი საზოგადოებრივი ყოფის დამცველი გახდეს, თან ისე, რომ არ შეიზღუდოს არამართლმორწმუნეთა ადამიანური უფლებები?

– გავიხსენოთ ქართველი ერის სიბრძნე: **"სიბრძნე ებრძვის სიბრიყვეს უთოფოდ და უზარბაზნოდ"**. ეს უაღრესად ქრისტიანული მიდგომაა. არამართლმორწმუნეებს იდეურად უნდა ვეკამათოთ, მათი ადამიანური უფლებების პატივისცემა ჩვენ მხოლოდ გვაძლიერებს. რაჟდენ მოწამეს, ევსტათი მცხეთელს და აბო ტფილელს არავინ ახვევდა თავს ქრისტიანულ სარწმუნოებას, მაგრამ ისინი ქრისტეს მოწაფეები გახდნენ. ამაში იყო ძალა ჩვენი სარწმუნოებისა. სხვანი კი ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თავის სარწმუნოებას. თორმეტმა ჭეშმარიტმა მორწმუნემ თითქმის მთელი მსოფლიო მოაქცია თავის რწმენაზე. მაცხოვრის სიტყვებით რომ ვთქვათ, **"უკეთუ გვექნება სარწმუნოება თუნდაც ქრთილის ოდენი, მთას რომ ვუბრძანოთ, აღიძვრება და ზღვად შთაიფხვრება"**. ჭეშმარიტ რწმენას სასწაულები ძალუძს.

– მაგრამ ჭეშმარიტი მორწმუნეებისაგან განსხვავებით, რა შეიძლება ითქვას იმ "ნათელმხილველებზე", რომელთა ქვეყნად გამოჩენის შესახებაც უფალი წინასწარ გვაფრთხილებს? ბოლო დროს მთელ მსოფლიოში გამოჩნდნენ ცრუწინასწარმეტყველნი, რომელნიც ცდილობენ თვით რჩეულთა შეცდენას. ამგვარი არაჯანსაღი რელიგიური განწყობა რამდენადმე ჩვენს საზოგადოებასაც შეეხო, რაც იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოების გარკვეულ წრეებში სავსებით შეგნებულად გავრცელდა ხმა, თითქოს ზოგიერთნი ბიბლიაში მოყვანილ ამა თუ იმ წინასწარმეტყველებათა საკუთარ თვითნებურ განმარტებებზე დაყრდნობით კანონიერი ხელისუფლების აღდგენის კონკრეტულ თარიღსაც კი (ზოგჯერ მხოლოდ წელს) ასახელებენ...

– ზოგს ჰგონია, რომ ისეთი ორგანიზაცია, როგორც არის **სუკ**-ი, მარტოოდენ პოლიტიკური ტერორითა და საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტირებით არის დაკავებული. **სუკ**-ი საკმაოდ ეფექტურად იყენებს რელიგიურ ცდომილებებს და შავ ოკულტიზმს. ანტიქრისტე თავად დიდი ცრუწინასწარმეტყველია. ასე რომ, არ არის გასაკვირი, მისი წინამორბედნი და მსახურნი ბიბლიური სიბრძნისა და წინასწარმეტყველთა ნაადრევის პროფანაციას რომ ისახავდნენ ერთ-ერთ მთავარ მიზნად. თქვენ რომ ახსენებთ იმ მოვლენას, რელიგიური უმეცრება და ინფანტილიზმი ასაზრდოებს, რასაც **სუკ**-ი თავისი ინტერესებისათვის იყენებს. **"ბიბლიაში წერია, თუ როდის აღსდგება საქართველოში კანონიერი ხელისუფლება... წაიკითხეთ მუხლი ესა და ეს..."** – ასეთი კურიოზების გავრცელება და დანერგვა, ერთი მხრივ, ხალხში იწვევს იმედგაცრუებას, აპათიას და უიმედობას, მეორე მხრივ კი, სახელს უტეხს თვით რელიგიას. რელიგიისა და საღვთო წერილის პროფანაცია ანტიქრისტესა და მისი **"სისხლი სისხლთაგანისა"** და **"ხორცი ხორცთაგანის"**, სუკ-ის უმთავრესი მიზანია. ამიტომ უწყობენ ხელს ყოველგვარი ბნელი სექტების გავრცელებას. მაგალითად, სამეგრელოში იეღოველებმა ხალხის დიდი უბედურებით ისარგებლეს და გაავრცელეს ხმა: **"1993 წელი არმაგედონის წელია, წელს აღდგება მკვდრეთით და გაცოცხლდება ყველა ის, ვინც იეღოვას იწამებსო"**. წარმოიდგინეთ, ზოგიერთმა გაუბედურებულმა და სასოწარკვეთილმა შვილდაკარგულმა მშობელმა ირწმუნა ეს და იწყო ყოყმანი მართლმადიდებლურ რწმენაში. აი, რა მეთოდებით მოქმედებენ ბოროტების მსახურნი. დღეს, დარწმუნებული ვარ, პუტჩისტური **სუკ**-ი დიდ იმედებს ამყარებს მათზე და საქმითაც იყენებს...

– ეროვნული მოძრაობა უნდა იყოს თუ არა ბოლომდე ერთგული მშვიდობიანი ხერხებით ბრძოლისა, რაც მათ თავისი "ოპონენტებისაგან" პრინციპულად განასხვავებს?

– ეროვნული თუ სამოქალაქო მოძრაობის ძალა მშვიდობიანი ხერხებით ბრძოლაშია. ამით დგას განდიზმი მარქსიზმზე მაღლა.

– რას უსურვებთ დღეს საკუთარი ერისა და მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგულ შვილებს?

– დიდ სიმტკიცეს რწმენაში, ბრძოლაში შეუპოვრობას, დიდ მოთმინებას, რამეთუ **"აურაცხელ არიან ჭირნი მართალთანი და ყოველთა მათთაგან იხსნას იგინი უფალმან"**. დღეს ჩვენ ყველანი განგებამ უდიდესი განცდის წინაშე დაგვაყენა და ეს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი სარწმუნოების გამოცდაა. ადამიანთა დაცემული ბუნება უწყოდა უფალმა, როდესაც ბრძანა: **"მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისაითა და არა შემიწყნარებთ. უკეთუ სხუაი მოვიდეს სახელითა თვისთა, იგი შეიწყნაროთ"**. ეს **"სხუაი"** ანტიქრისტეა... დღევანდელი დღის სპეციფიკა კი იმაში მდგომარეობს, რომ ათეისტებმა და კომუნისტებმა მიატოვეს ბრძოლა რელიგიასთან. ახლა ისინი თავად გახდნენ **"რელიგიურნი"**. საკმაოდ ეფექტურადაც იყენებენ რელიგიას თავისი შავბნელი საქმეების შესანიღბად. ასეთი ტაქტიკა უფრო საშიშია ქრისტიანობისათვის... **"სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარ არს"** – ბრძანებს იაკობ მოციქული. ვიყოთ ქრისტიანები და გეორგიანელები საქმით – აი, ჩვენი მოწოდება.

"ციტატა-შეხსენება

...ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ისტორიულად მიიჩნეოდა ქართველი ერის შენარჩუნებისა და განვითარების უმთავრეს პირობად და სტიმულად. ჩვენმა ხალხმა, რომელიც თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე ჯუჯა სახელმწიფო წარმონაქმნებად იყო დაქუცმაცებული, ძირითადად ეკლესიის საქმიანობის შედეგად შეინარჩუნა საკუთარი ეროვნული სახე და სოციოკულტურული თვითმყოფადობა. ისტორიის კრიტიკულ პერიოდებში ეკლესია არა მარტო ერეოდა საერო ცხოვრებაში, არამედ, საჭიროებისამებრ, მკვეთრად უპირისპირდებოდა კიდევაც საერო ხელისუფლებას, აიძულებდა მას ეროვნული ინტერესების დაუყოვნებლივ დაცვას, ხოლო ხელისუფლებამ იცოდა, რომ ღია კონფლიქტის შემთხვევაში ქართველი ხალხი ხელისუფლების წინააღმდეგ წავა, მაგრამ არასოდეს წავიდოდა ეკლესიის წინააღმდეგ. ქართველებში ეკლესიისადმი ნდობა გენეტიკურადაა ჩადებული, ამიტომ ეკლესიას არც ისტორიულად და არც მორალურად არა აქვს უფლება, ქვეყანაში მიმდინარე ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ პროცესებში გულგრილი თუ უსიტყვო მეთვალყურის როლი შეასრულოს...

ალექსანდრე ჭაჭია,
2000 წლის მაისი".

ლავრენტი ბერია — ქართული გენია

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

მეორე ნათელი მაგალითი გნებავთ?

სიამოვნებით – მომავალში კოვპაკის მეთაურობით შექმნილი დიდი პარტიზანული შენაერთის პოლიტხელი, საბჭოთა კავშირის გმირი რუდნევი.

შეიძლება მესამეც...

წინ მიდევს, ეფექტური, 2005 წლის გამოცემა ბიოგრაფიული ლექსიკონისა **„დიდი სამამულო. არმიის სარდლები...“**, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს არმიის სისხლისაგან დაცლის ვერსიის უსუსურობას. სინამდვილეში, საბჭოთა არმიის რიგებში 1938 წლის შემდეგაც იყო ათასობით მაღალკვალიფიციური და კეთილსინდისიერ ოფიცერი.

გენერალ-ლეიტენანტი კუზმა პეტრეს ძე პოდლასი... რუსულ არმიაში მსახურობდა 1914 წლიდან, იყო პოდპორუჩიკი. 1939-დან 1940 წლამდე იყო პატიმრობაში. 1940 წელს აღადგინეს არმიაში და დაუბრუნეს სამხედრო წოდება.

აი მეოთხე მაგალითიც – გენერალ-ლეიტენანტი სერაფიმე ევგენის ძე როჟდესტვენსკი. 1937 წლის ოქტომბერში დაითხოვეს საბჭოთა არმიის რიგებიდან და მასზე, როგორც **„ხალხის მტერზე“**, მიმდინარეობდა გამოძიება. 1939 წელს, სამხილების არარსებობის გამო, მოხდა მისი სრული რეაბილიტაცია.

აი, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი ვიაჩესლავ დიმიტრის ძე ცვეტაევი. 1938 წლის ივნისში დააპატიმრეს შინსახკომის ორგანოებმა, ამავე წლის სექტემბერში კი, უდანაშაულობის გამო აღადგინეს ყველა უფლებებში.

მათი რეაბილიტაცია მოხდა სწორედ მაშინ, როცა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბერია იყო.

ასეთი მაგალითი კი უამრავია...

შეთქმულება კი იყო! თანაც მრავალშრიანი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მზადდებოდა.

1938 წლის მარტის პროცესზე რიკოვმა მისცა ჩვენება იმის თაობაზე, რომ ამბოხების საკითხი დაისვა ჯერ კიდევ 1933 წელს და მისი ინიციატორი იყო ენუქიძე. აქტიურობდა იაგოდაც... მაშინ ჩაერთო **„საქმეში“** პეტერსონი და კრემლის სამხედრო სკოლის უფროსი ეგოროვი.

ეს ერთ-ერთი შრე გახლდათ – ამბიციურ-ავანტურისტული, ენუქიძის...

იყო ასევე ბუხარინის, რიკოვისა და ტომსკის შრეც. მას უშუალო კავშირი ჰქონდა ტროცკისთან, ტუხაჩევსკისთანაც, იაგოდასთანაც, მაგრამ იმის პრეტენზია ჰქონდა, რომ **„გადატრიალების კონცეფცია“** მოემზადებინა და ჩაეტარებინა სტალინის შემდგომი რეფორმა...

მათთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ნიკოლოზ მურალოვი (დაბადებული 1877 წელს, მემამულის ოჯახიდან, 1897-1903 წლებში მართავდა სხვადასხვა მამულს, ჰქონდა ღვინის და ზეთსახდელი ქარხნები, 1903 წლიდან იყო აგრონომის თანაშემწე პოდოლსკში, ამავე წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, რევოლუციის შემდეგ მეთაურობდა მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარებს, იყო აქტიური ტროცკისტი, 1927 წელს გარიცხეს პარტიის რიგებიდან, მაგრამ **„მოინანია“** და 1935 წელს აღადგინეს პარტიაში). ამ პიროვნებას კიდევ ერთხელ გავიხსენებთ მოგვიანებით.

იყო კიდევ ტუხაჩევსკის ჯგუფი – შედარებით ბონაპარტისტული ხასიათის, თუმცა მასში იყო ტროცკისტული ელემენტებიც. სტალინის მიერ საზღვარგარეთ გაძევებული ტროცკი წერდა, რომ სამხედროთა უკმაყოფილებამ სტალინის მიმართ, შეიძლება ამბოხი გამოიწვიოს ქვეყანაში, და თანაც, წითელ არმიაში, იგი – ტროცკი კარგად ახსოვთ.

მართლაც ახსოვდათ, რადგან ტუხაჩევსკის თავბრუდამხვევი კარიერის საყრდენი სწორედ სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი ტროცკი იყო. და არა მხოლოდ ტუხაჩევსკის...

ტუხაჩევსკის ჯგუფს კარგი კავშირები გააჩნდა ძველი გერმანიის რაიხსვერთან. მრავალი გერმანელი გენერალი ისევე უკმაყოფილო იყო ჰიტლერისა, როგორი უკმაყოფილოებიც იყვნენ სტალინით **„წითელი ბონაპარტები“**. ამიტომ, მოსალოდნელი იყო ორმაგი ამბოხი – გერმანიაში სამხედროები ჰიტლერს დაამხობენ, საბჭოთა სამხედროები კი – სტალინს. და შემდეგ...

შემდეგ... როგორც ბონაპარტე ამბობდა – **„ბრძოლაში უნდა ჩავრთოთ, და მერე ვნახავთ“.**

ჰიტლერი ალბათ ჭვრეტდა ამგვარ მომავალს, ამიტომ, გამორიცხული არ არის, რომ ჰაიდრიხს მისგან ნამდვილად მიეღო საბჭოთა რუსი სამხედრო ოფიცრების დისკრედიტების დავალება. დაარტყავდა რა მოსკოვში ტუხაჩევსკის, ჰიტლერი ავტომატურად აირიდებდა რაიხსვერიდან მოსალოდნელ საფრთხეს.

მაგრამ ამ ვერსიითაც კი ტუხაჩევსკი მაინც შეთქმულის რანგში გვევლინება. თუმცა, გამორიცხული არც ის არის, რომ ჰიტლერს ხელთ სჭეროდა **„ტუხაჩევსკის“** ბანქო. ყოველი შემთხვევისათვის, 1937 წლის აპრილში ჰიტლერმა განაცხადა: **„ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ კომუნიზმი, როგორც დოქტრინა და რეჟიმი და რუსეთი, როგორც ეროვნული სახელმწიფო... გერმანიის სახელშეკრულებო ურთიერთობებს კომუნისტურ ხელისუფლებასთან არავითარი ფასი არ ექნებოდა, მაგრამ რუსეთში სიტუაცია სწრაფად იცვლება და გერმანია მზად უნდა იყოს ახალი ცვლილებებისათვის“.**

ჰიტლერს მხედველობაში უნდა ჰქონდა სტალინის მზარდი იმპერიული პოლიტიკა, რაც გერმანიასთან ურთიერთობების მოგვარებას ისახავდა მიზნად, მაგრამ, მას შეიძლება მხედველობაში ტუხაჩევსკიც ჰყავდა.

ტროცკის მაშინ მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა – სტალინის ჩამოგდება. იგი არ უკადრისობდა გერმანელებთან კავშირს, მაგრამ გენეტიკურად მაინც **„ნისლიანი ალბიონისაკენ“** მიილტვოდა. ლონდონის გავლით კი გზა ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ მიდიოდა, სადაც, უოლსტრიტზე დომინირებდა მძლავრი ებრაული დიასპორა, რომელთა შორის მრავლად იყვნენ ტროცკის ნათესავები და საქმიანი მეკავშირეები.

ქვეყანაში ასევე არსებობდა პარტიიდან გარიცხულთა პოტენციური საფრთხე. ეს იყო მილიონამდე აქტიური, სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანი.

კალინინოს **„მარტიროლოგში“** ისინი უპარტიოებად მოიხსენიებიან, მაგრამ გამოძიების საქმეებიდან შეიძლება დავადგინოთ, თუ ამ უპარტიოთაგან რამდენი იყო პარტიის ყოფილი წევრი.

მე ასევე დამავიწყდა უცხოეთში მცხოვრები რუსეთიდან გაქცეული **„მლადორუსები“** (თაორები და სხვა სარწმუნოების მქონე რუსები), რომელთაც ყაზანელი თავადი ყაზიმ-ბეგი და დიდი თავადი დიმიტრი პავლეს ძე თავკაცობდნენ. ამ უკანასკნელმა 1935 წლის მარტში დაწერა მემორანდუმი, რომლის ბოლო აბზაცი გვაუწყებდა: **„პირველი საბჭოთა პარტიის გახრწნის შედეგად იქმნება ხელსაყრელი ნიადაგი მეორე საბჭოთა პარტიის შესაქმნელად, რომელიც იქნება ნაციონალური რევოლუციია ანტიკომუნისტური პარტია“.**

იყო კიდევ ერთი ასპექტი, რომლის თაობაზეც მე ჯერ არაფერი მითქვამს... მე მხედველობაში მაქვს პირველი **„გადახრა“** სრულიად რუსეთის კომპარტიაში (ბ) და სამეურნეო ხელმძღვანელობაში. მხოლოდ ერთადერთი ბუხარინი კი არ მოუწოდებდა ხალხს **„გამდიდრდითო!“** ამ მოწოდებას ჰყავდა სხვა უამრავი მომხრეც. მემარჯვენეები კი სახელმწიფოს მმართველ ორგანოებშიც უხვად იყვნენ და ისინი უფრო მეტად საშიშნი იყვნენ რუსეთის მომავლისათვის, ვიდრე პირწავარდნილი ტროცკისტები. ამიტომ, როცა სტალინს ერთხელ ჰკითხეს, თუ რომელი გადახრაა უფრო ცუდი – მარჯვენა თუ მარცხენაო, ბელადმა მოკლედ უპასუხა: **„ორივე ძალიან ცუდიაო“.**

და ეს ყველაფერი ერთიანად დაიხვა ანტისტალინურ გორგლად.

საბოლოო ჯამში ეს გახლდათ მრავალშრიანი შეთქმულება რუსეთის წინააღმდეგ.

სამხედრო შეთქმულები დიდ ხანს ემზადებოდა და ორმა ფაქტორმა მათი მოქმედებები დააჩქარა.

ერთი გარემოება გახლდათ სამხედრო წრის მიღმა მიმდინარე დაპატიმრებები, და თვით პეტერსონის დაპატიმრება.

მეორე კი იყო სტალინის პოზიცია, რომელიც მყარი იყო ხალხში და არჩევნების შემდეგ იგი კიდევ უფრო გამყარდებოდა.

და ტუხაჩევსკიმ დანიშნა ამბოხის ვადა – არა უგვიანეს 15 მაისისა. წარმატების შემთხვევაში, გამორიცხული არ იყო, რომ რაიხსვერი ჰიტლერს დაამხობდა და ორივე ეს ძალა პოლონეთს დაარტყამდა, რაც ტუხაჩევსკიმ ვერ მოახერხა 1920 წელს. თუმცა, არც ის იყო გამორიცხული, რომ ეს ოპერაცია ჰიტლერის თანამონაწილეობითაც განხორციელდებოდა. შემოდგომაზე კი რუსეთისა და პოლონეთის ატალახიანებული გზების გადალახვა ძნელი საქმე იყო.

მაგრამ, არ გამოუვიდათ... ანტისაბჭოთა გადატრიალებამდე რჩებოდა კიდევ 50 წელი – იგი მხოლოდ 1991 წელს განხორციელდა...

რა საჭიროა ისეთი წვრილმანების განხილვა, რომელთანაც ბერიას კავშირი არ გააჩნია? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მას ამ მოვლენებთან კავშირი აქვს. ეს ხომ ის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ფონი გახლდათ, რომელზედაც მიმდინარეობდა ბერიას ცხოვრება.

მეორეც – მალე ხომ ბერიას, როგორც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, მოუწევდა ამ ეშმაკურად დაქსელილი ვერაგული გეგმების გამომჟღავნება.

მესამეც – კიდევ ერთხელ დავრწმუნდით რა სტალინის გაშავების მსურველთა სიცრუეში, ჩვენ გამოვამჟღავნებთ ბერიას სახელთან დაკავშირებულ სიცრუის მასშტაბებსაც.

სიცრუე კი, მართლაც ზღვად იდგა!

თუმცა, ინტელიგენტთა სფეროც ვერ უვლიდა გვერდს დიდ სიმართლეს.

მაგალითად, არ შეიძლება, რომ აკადემიკოსი ვლადიმერ ივანეს ძე ვერნადსკი სოციალისტური აღმშენებლობის ენთუზიასტთა რიგებს მივაკუთვნოთ.

1937 წლის 7 ივლისს კი მან დღიურში ჩაწერა:

„...დადებითი შემოქმედებითი მუშაობა ტარდება „უპარტიო ინტელიგენციისა“ და ისეთი ხალხის მიერ, როგორებიც არიან სტალინი, მოლოტოვი... – და არა კომუნისტთა უსაშველოდ დიდი რაოდენობის მიერ, რომელიც სხვებზე ბევრად დაბლა დგას მორალურად, იდეურად და ნიჭიერებით. უპარტიოები აშკარად იზიარებენ იმ აზრს, რომ სტალინისა და მოლოტოვის პოლიტიკა რუსულია და იგი ძალზე სჭირდება სახელმწიფოს. მათი პარტიული მტრები რუსეთის, მისი კულტურის მტრები არიან.“

შეიძლება მკითხველმა დამადანაშაულოს, რომ მე შეგნებულად ამოვგლიჯე ვერნადსკის დღიურიდან ჩემთვის ხელსაყრელი ფრაზა, მაგრამ, მოდით მის მიერ 1938 წლის 1 მარტს გაკეთებული ჩანაწერიც წავიკითხოთ:

„დღეს გაზეთები ახალ „პროცესზე“ სწერენ. შეშლილები არიან. სურთ იმ დიდის განადგურება, რომელიც ხელისუფლებისა და ხალხის მიერ იქმნება და არასოდეს ამოიძირკვება...“

და მესამე, კიდევ უფრო მწვავე შენიშვნა:

„მილიონობით ხალხი იტანჯება. არნახული ტერორია, უსამართლობა და ტანჯვა. მთელი ერი იტანჯება და ამას პროდუქტების ნაკლებობაც ერთვის“.

ასე რომ, ვლადიმერ ივანეს ძე ბრმად არასოდეს უჭერდა მხარს ბოლშევიკებს. სწორედ ამიტომ ფასობს მისი საქებარი სიტყვები სტალინისა და მოლოტოვის მიმართ.

რაც შეეხება მითიურ **„მილიონებს“**, აკადემიკოსისათვის ეს ერთადერთი საზომი გახლდათ... 1938 წლის 5 იანვარს მან შემდეგი შინაარსის ჩანაწერი გააკეთა: **„მილიონობით დაპატიმრებული... თითქმის მუქთი შრომა, რაც დიდ როლს თამაშობს სახელმწიფო მეურნეობაში.“**

მაგრამ არ იყო **„მილიონობით“** დაპატიმრებული და ვერნადსკი სახელმწიფო მეურნეობაში მათ როლსაც აბუქებდა. აი, 1991 წელს გამოცემული ანტიბერიასეული კრებულის ის ნაწილი, სადაც ასახულია შინსახკომის სამეურნეო ობიექტების მიერ, მაღაროებში, ქვანახშირის მოსაპოვებლად გაწეული შრომის შედეგები, უმძიმეს 1942-1944 წლებში. სულ ამ პერიოდის განმავლობაში შინსახკომის ძალებით მოპოვებულია 8 მილიონ 924 ათასი ტონა ქვანახშირი.

საერთო მოპოვება საბჭოთა კავშირში კი შეადგენდა:

1941 – 165,9 მილიონ ტონას;

1942 წელს – 75,5 მილიონ ტონას;

1943 წელს – 93,1 მილიონ ტონას;

1944 წელს – 121,5 ნილიონ ტონას.

სულ 456 მილიონ ტონას.

შინსახკომის წარმოებების მიერ მოპოვებული ქვანახშირის წილი შეადგენს საერთო მოპოვების 1,8 პროცენტს.

მოდი და, ამტკიცე ამის შემდეგ, რომ სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში დიდი როლი ენიჭებოდა **„მონურ შრომას“**.

მაგრამ, ის, რაც ეპატიება დღიურში ჩანაწერის გამკეთებელს, არ ეპატიება იმას, ვინც ამ გაბერილ ციფრებს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად აქცევს.

ვერნადსკი ბოლშევიკების მიმართ უკმაყოფილება გამოთქვამდა ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბრიდან. აი, ჩანაწერი, რომელიც მან 1917-1918 წლებში გააკეთა:

12 ოქტომბერი, 1917 წელი.

„ყოველთვის მეშინოდა, რომ რევოლუცია ყაზარმულ წესრიგს მოიტანდა... (თუმცა, ამავე წლის 3 ნოემბერს იგი აღნიშნავდა: „...ყველასათვის ნათელია, რომ აუცილებელია დიქტატურის ამა თუ იმ ფორმაზე გადასვლა)“.

1917 წლის 18 ოქტომბერი

„სიფილისი და სხვა დაავადებები, აღვირახსნილობა და ავაზაკობის გამართლება – ის ნიადაგია, რომელზეც ახალი თაობის აღზრდა მოგვიწევს...“

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავთ ახალ წელს!

უსასრულო ჭირთათმენა თვითმკვლელობაა, რაც მოუნანიებელი ბიბლიური ცოდვაა!

დიდი ხანია აღარ შემოგხმიანებივართ, რისთვისაც ბოდიშს გიხდით. ახლა კი მსურს მოვულოცო ახალი წელი გაზეთ „ილორს“, მის მკითხველებს და სრულიად საქართველოს! ამასთან, გიგზავნით ჩემს ახალ წერილს და ვისურვებდი, რომ მასში გაცხადებული ყველა „ქართლის ჭირი“ გასულ წელს გაჰყოლოდეს!

მადლობელი დაგრჩებით, თუ ამ წერილს გამოაქვეყნებთ!

პატივისცემით, **დავით ფოთაძე,**
კობლენცი, გერმანია.

ამასწინათ, ერთ ჩვენებურს, საქართველოდან მცირე ნობათი გამოუგზავნეს. ამანათის გახსნას მეც შევესწარი. ცოტ-ცოტა ყველაფერი ჩაეწყოთ, მოხუფულ შუშის ქილაში ჩასხმული ტყემლის ჩათვლით, რომელიც მრავალგვერდიან გაზეთ **„ასავალ-დასავალის“** გაეხვიათ, ქილა რომ არ გატეხილიყო. იმწამსვე გაზეთს დავავლე ხელი, სხვას რომ არ დაესწრო, იქვე საგულდაგულოდ დავაუთოვე და შემთხვევით ის გვერდი გადავშალე 235 ხელმომწერი რომ მიმართავს **„კითხვებით ხელისუფლებას და მისგან პასუხს ითხოვს!“**

ვიფიქრე ახლა კი **„დაერხა“** ხელისუფლებას-მეთქი და ყველას გასაგონად ხმამაღლა დავიწყე კითხვა!

ნეტავ საერთოდ არ წამეკითხა!..

ამანათის გახსნას, ჩვენს მცირე **„ქართულ დიასპორაში“,** ამ ბოლო დროს აქტიურ პოლიტიკოსად ქცეული, ადრე ჩემგან არაერთგზის ნახსენები **კარენ ვართაპეტოვიჩიც** ესწრებოდა და როცა იმ აბზაცს მივადექი, სადაც 235 ხელმომწერი უზომოდ შეწუხებულა **„საქართველოს ბიუჯეტის შემვსები სხვა აღმსარებლობის მიმდევარი მუსულმანების, იუდეველების, სომხური სამოციქულო ეკლესიის აღმსარებლების, კათოლიკეების, იეზიდების, ბაპტისტების, ორმოციანელების, იეჰოვას მოწმეების და სხვა ათეისტი და არარელიგიური მოქალაქეების“** დისკრიმინაციის გამო, რაც თურმე იმაში გამოიხატება, რომ **პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან და ასევე საბიუჯეტო სახსრებიდან მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება არის სხვა აღმსარებლობების დისკრიმინაცია და სახელმწიფოს ჩარევა ეკლესიის საქმიანობაში!..** ჩემდაუნებურად, ხმას ჩავუწიე და ხელმომწერთა სიას გადავავლე თვალი...

კარენ ვართაპეტოვიჩმა იმწამსვე იყნოსა, რაღაც რომ ვერ იყო ჩემს (ქართულს ვგულისხმობ!) გემოზე და იმწუთშივე შემეხმიანა – **„დავითჯან, რაღაც კარგად ვერ გავიგე, ხომ იცი მე სომეხი ვარ, თან რუსული შკოლა მაქვს დამთავრებული და კიდევ ერთხელ წამიკითხე რა უნდათ სომხებისგან?..“**

სომეხმა კარენმა ყველაფერი კარგად გაიგო, მას არაფერი გამოპარვია, უბრალოდ დრო მიპოვა – **კიდევ ერთხელ გამოესვა ჩემთვის ყელში, 235 „ქვეყნის გასაჭირით შეწუხებული“ ქართველის მიერ საგულდაგულოდ ალესილი დანა!..**

კარენას გადავხედე, ხმა არ გამიცია, ხელმომწერთა სიას გადავავლე თვალი, თავში დავით ამირეჯიბი რომ ედგა!

თავზარი დამეცა!.. მთავრობას კი არა – **ჩვენს სამშობლოს, საქართველოს „დაერხა“ თურმე!**

დარწმუნებული ვარ ამ მკრეხელთა სიის მოთავე **დავით ამირეჯიბს** და სიაში ნახსენებ კიდევ ერთ – **რუსიკო ამირეჯიბს,** არაფერი აქვთ საერთო **„დათა თუთაშხიას“** ავტორთან, თორემ ამ უჯიშოთა გვერდით ისინი ვერ მოხვდებოდნენ!.. თუმცა ვინ იცის, უამრავი რამ არის ბურუსით მოცული ამ ქვეყნად და იქნებ, ოდესღაც საქართველოს სადარაჯოზე პირველ გვარად მდგომ ამირეჯიბებსაც დარია ხელი გაუჯიშოებამ?!. სხვანაირად როგორ შევხედოთ წერილში ნახსენებ სიბინძურის შემთხზველთა გვერდით მათი სახელი და გვარების გამოჩენას? მე არ ვიცი, როგორ შეხვდა ქართველობა ამ ამბავს საქართველოში, მაგრამ უცხოეთში მცხოვრებ ჭეშმარიტ ქართველთა სოლიდური ნაწილის სახელით, მე მივმართავ ამ გვარის ღირსეულთ, წერილობით გაგვცენ პასუხი შეკითხვაზე: **„როგორ აფასებთ თქვენ, ბატონებო, თქვენი გვარის ორი წარმომადგენლის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ძირგამომთხრელთა შორის გამოჩენას?“**

...ხალხი და მისი აზრი რომ არაფრად მიაჩნიათ საქართველოში, ეს იმ დღიდან დამკვიდრდა, როცა საქართველოს პრეზიდენტმა 70 მილიონ დოლარად თურქების მიერ აშენებული **„თხების სადგომი“** აეროპორტად შემოგვასაღა და იგი თურმე ამსტერდამის, კიოლნის, ფრანკფურტის და მიუნხენის აეროპორტებს სჯობია!..

ამ უდღეურებს საქართველო და მისი მოსახლეობა უნახავებად და უცოდინრებად მიაჩნიათ და ამ აზრს ამკვიდრებენ უცხოეთშიც. სწორედ ამის გაგრძელებაა 235 უჯიშო ქართველის (იქნებ არც არიან ქართველები?) ნამკრეხელარი – **თითქოს მართლმადიდებლური ეკლესიის დახმარებით საქართველოს მთავრობა უსამართლობას სჩადის, სხვა აღმსარებლობის მოსახლეობისა და ეკლესიების წინაშე!..** ეს კიდევ არაფერი, მკრეხელურ სექტებს, რომლებსაც ევროპის არცერთ ქვეყანაში სახელმწიფოს ზრუნვის ობიექტად არ იხილავენ, საქართველოში პირდაპირ მთავრობას აკისრებენ მათ მოვლა-პატრონობას!..

ჭკუაზე მოდით ქართველებო! ჭკუაზე მოდით დროზე! თორემ, მალე გვიანი იქნება, თუ უკვე დაგვიანებული არ არის!..

ადრეც მიხსენებია, ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი უცხოეთში მიწევს ცხოვრება და აქაურ კანონებს და წეს-ჩვეულებას მე ვერავინ მასწავლის, მაგრამ, ის, რასაც საქართველოდან ვისმენთ არცერთ ევროპელს არ მოუვა აზრად!..

თუნდაც ამ რამდენიმე დღის წინ იულონ გაგოშიძის **„უცხოეთში ქართულ დიასპორებთან ურთიერთობის“** მინისტრის წინააღმდეგ ატეხილი სკანდალი იმის გამო, რომ მან **მხოლოდ ქართველები და აფხაზები მოიხსენია საქართველოს აბორიგენ მოსახლეობად!..** და, თურმე ამ საქციელით, შეურაცხყოფა მიაყენა სხვა დანარჩენ ერებს, რომლებიც რამდენიმე საუკუნეა საქართველოში ცხოვრობენ!..

ჩვენ, დიდად აღფრთოვანებული, არც ბატონი გაგოშიძის გამინისტრებით ვყოფილვართ და არც მისი მოხსნის გამო ჩავიცვამთ შავებს, მაგრამ დიდი (თუ ჩვეულებრივი ქართული?!.) უსამართლობა იქნება, დღევანდელი საქართველოს დამმარხავი სააკაშვილი და მისი ხროვა უსამართლოდ ამტყუნებდეს და ლანძღავდეს ადამიანს, რომელიც ათასი წლების წინანდელ საქართველოს მიწაში დამარხულ ისტორიას დაეძებს და სამზეოზე გამოაქვს იგი!

235 უჯიშო, ხელმოწერებს აგროვებს ჩვენი სამშობლოს დამაქცევარი და გამყიდველი სექტების და ურჯულოთა დასაცავად, ომიანობისას თუ მშვიდობის ჟამს უმოწყალოდ გვინადგურებს ათასწლოვან წეს-ჩვეულებას, ტრადიციას, საქართველოს ეროვნულ სახეს, ქართველების და აფხაზების აბორიგენ მოსახლეობად ხსენებას გვიკრძალავს და ქვეყნის დამაქცევართ გვიჯანყებს!..

ამას ვერ დავარქმევთ შემთხვევითობას, ამას ვერც უცხოს დავაბრალებთ, როგორც იციან **„გარედან შემოგვიგდესო!..** ამას ადგილობრივი, **ამერიკულ სკოლაგამოვლილი „ნეოკომუნისტები“ და „ნეოკომსომოლები“** საკუთარი ინიციატივით ამკვიდრებენ, **თავიანთ მასწავლებლებს საგანგებო ერთგულება და მუყაითობა რომ დაუმტკიცონ!..** თორემ, თვალი მიადევნეთ რა ხდება ევროპის შუაგულში, როგორ უკრძალავენ მეჩეთების მშენებლობას მუსულმანებს, მაგრამ ამის გამო – **ამ ქვეყნებში, არსად გამოჩენილა და საკუთარი ნებით არ გაცხადებულა 235 მოღალატე და მოძალადეთა მაამებელი!..**

ავსტრიაში, წელს, შემოდგომაზე დაიწყო პირველად საკლასო ოთახებიდან რელიგიური (ქრისტიანულ რელიგიაზეა საუბარი, იქ სხვა აღმსარებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია!) ატრიბუტიკის გატანაზე საუბარი, რასაც იმხელა ხმაური მოჰყვა, არც უცდიათ მისი გამეორება. საქართველოში კი **„ვარდების რევოლუციონერებმა“** ძალაუფლების უზურპირებისთანავე გამოაძევეს სკოლებიდან ქრისტიანული აღზრდა-განათლება, რითაც ევროპას მთელი ხუთი წლით დაასწრეს და მათი პრეზიდენტის საყვარელი გამოთქმისა არ იყოს – **ყველას გაასწრეს და ვერავინ დაეწევათ ევროპაში!..** მეც ვეთანხმები, მართლაც ასეა, ოღონდ საკუთარი ქვეყნის და ხალხის ნება-სურვილის ფეხქვეშ გათელვაში! შუაგულ ევროპაში კი ხალხი კბილებით იცავს ეროვნულ ღირებულებებს, რელიგიას, მის ტრადიციებს, რადგან იქ საზოგადოებრივი მორალი და პასუხისმგებლობა დღემდე არსებობს და მათ ხელისუფლებაც ანგარიშს უწევს!

მე მახსენდება უამრავი გერმანელი, რომლებსაც საქართველოში გაუვლიათ დიპლომატიური თუ სხვა სახელმწიფო და არა სახელმწიფო სამსახურები. ბევრი აღფრთოვანებული დაბრუნებულა სამშობლოში საქართველოდან, მიუხედავად მისი კატასტროფული მდგომარეობისა (შევარდნაძე-სააკაშვილის პერიოდზეა საუბარი, რადგან მანამდე უცხოელის დახმარება საქართველოს ნაკლებად სჭირდებოდა!), ისინი იმედს გამოთქვამდნენ – **ქვეყნის წესიერი მენეჯერის ხელში, საქართველო მალე დადგებაო ფეხზე!..** იყვნენ ისეთებიც, განსაკუთრებით სამთავრობო სტრუქტურებიდან, რომლებიც საქართველოს ჩამორჩენას, მხოლოდ მისი ძველი, მითაჟამური ტრადიციების მიმდევრობაში ხედავდნენ და ეკლესიებშიც ხშირად იცქირებოდნენ (**პირველი ნაწილისგან განსხვავებით – არა სალოცავად!**), რომ გულუბრყვილო და ფინანსურად ხელმოკლე მრევლის ხასიათი შეესწავლათ და მათზე ეფექტური ზემოქმედება მოეხდინათ! დასაწყისში ეს საქმე ჩამოყვანილი, უცხოელი კადრებით კეთდებოდა, რასაც მალე მიხვდნენ დიდი ეფექტი არ მოჰყვებოდა **„ქართველების (ისევ მათგან შეძენილი!) გადამგდები ხასიათის“** გამო და მოგვიანებით აქცენტი ქართველ ახალგაზრდებზე გაკეთდა – რომლებიც თვით დამკვეთებისთვისაც შესაშური გულმოდგინებით ანგრევდნენ, ბილწავდნენ, უარყოფდნენ, საკუთარი ოჯახიდან დაწყებული, ეკლესიით, რწმენით და სამშობლოთი დამთავრებული ყველას და ყველაფერს, რაც წინ დაუხვდებოდათ – ოღონდ კარგად გადაეხადათ მისთვის, რასაც დღეს ბიზნესს ეძახიან საქართველოში!..

სწორედ ეს 235 **„საშოვარს გადაგებული ქართველია“** დღეს რომ **„ასავალ-დასავალში“** თავს იკლავს **„საქართველოში რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად!..“** კაცმა რომ თქვას, რას ვერჩით, გოგო-ბიჭებს ბიზნესში უნდათ ჩართვა და ახალი არჩევნების წინ სამუშაო ადგილებს მთავრობას კი არ თხოვენ, თვითონვე ქმნიან!..

ყველაფერი ამ წერილით, რომ არ მთავრდება მკითხველთან ერთად 235-მა **„ფარსადანმაც“** კარგად იცის, ამიტომაც არის ბრძოლა საჭირო **„აიძულონ საქართველოს მთავრობა ხელი აიღოს მართმადიდებლური ეკლესიის დაფინანსებაზე(!!!) და იგი გაუთანასწორონ სხვა კონფესიებს!..“**

როცა ამას მოაღწევენ, მაშინ, ახალი სამუშაო ადგილებიც შექმნილია, კიდევ ერთი **„საერთაშორისო, რელიგიურ უმცირესობათა დაცვის ინსტიტუტი“ დაარსდება 235 ფარსადანის, აბო და მეჯნუნის საშტატო ერთეულით – და გიხაროდენ?!.**

თუ კიდევ სადმე ხართ – **ოჯახის, ტრადიციის, წეს-ჩვეულების, რწმენის, ეკლესიის და ყველაფერი ეროვნული ღირებულების გამყიდველები, დროზე მოდით – მეორე 235 ადგილი უშტატოებისთვისაცაა გამოყოფილი და დროზე მოდით არ დაგაგვიანდეთ!..**

როგორ გგონიათ, დიდი ხანი დასჭირდება ამ ვაკანსიის შევსებას?

სწორედ ეს აწუხებდა დიპლომატთა მეორე ნაწილს, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა, ამ რამდენიმე ხნის წინ – **ქართველი ხალხის დროში ჩამორჩენილობის გამო!..**

როგორც ვხედავთ ეს პრობლემაც მოგვარებულია – მითუმეტეს სამეფო გვარის და ღირსების თავადებიც აქტიურად მონაწილეობენ ამ საქმეში!.. ცხადია ამის მერე ქების სიგელები და დადებითი წერილებიც მოყვება მას იმ ქვეყნებიდან, სადაც ქალაქის მერებად და საგარეო საქმეთა მინისტრებად გაქანებული **„მეტრაკეები“** ყავთ არჩეული!..

კაცმა რომ თქვას – ჩვენ ვინ ვაგდივართ, 235 კაცს რომ საქციელს ვუწუნებთ?!. თუ ამ გზით, დედაქალაქის მერობამდე და საგარეო საქმეთა მინისტრობამდე შეიძლება გაქაჩო – მაშინ ხელს კი არ უნდა ვუშლიდეთ **„ევროპული და ამერიკული ცხოვრების წესის გზაზე დამდგარ პერსპექტიულ ქართველ ახალგაზრდობას“** პირიქით, მათ ლოზუნგი უნდა ავუფრიალოთ:

„ქართული ნაციონალური მოძრაობის სწორება ევროპელ მეტრაკეებთან!“

...საქართველოში ისე **„დულს ცხოვრება“,** ისე იზრდება თვალსა და საჯდომს შუა მისი განუმეორებელი წინსვლა და პერსპექტივა თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ, რომლის თვალნათელი დასტური იყო გასულ შაბათ სადამოს, **„რუსთავი-2“**-ის პოპულარული წამყვანის დავით კიკალიშვილის შინაგანი მოლოდინით დატვირთული აუდურტულება, როცა **„მისტერ გეი ევროპას“** საგმირო საქმეს აცნობდა საკუთარ სამშობლოს!..

ადვილი საქმე ხომ არ არის – **პირველად (ღმერთმა დაგვიფაროს მეორედაც მოხდეს!), ყველასგან მოულოდნელად, თურმე ქართველი „მზეჭაბუკი“ გახდა სოდომ-გომორის მოდგმის ფალოსმოღერებულთა რჩეული!..**

რა გასაკვირია, დავით კიკალიშვილიც აუღურტულებულიყო ქართველი **„მზეჭაბუკის“** (მიუხედავად იმისა იგი ქართულად ვერც საუბრობს!) მიღწევით, როცა (თვალი არ ეცეს!) მისი მომაჯადოებელი გამოხედვით, თვალის მოჭუტვით და უკანალის თამაშით არაფრით ჩამოუვარდება **„მისტერ გეი ევროპას“** და ვინ უნდა გაუწიოს რეკლამა **“მზეჭაბუკ“** ბარამიას თუ არა დავით კიკალიშვილმა, რომელიც ხვალ-ზეგ, თვითონვე შეიძლება უფრო მაღალ კვარცხლბეკზე აღმოჩნდეს!..

...ორიოდ დღეში, ამას მოჰყვა ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის მიერ შექმნილი ფილმის – ქართული სინამდვილის წინააღმდეგ შექმნილი მორიგი პასკვილის რეკლამა, სადაც ქართველი ახალგაზრდის ძალადობაა წარმოჩენილი უმწეო მანდილოსანზე, რომელსაც სექსუალურ ურთიერთობას აძალებენ, რომელიც მას იმ მომენტში არ სურს (თორემ ამ იდეის მოკარნახე უცხოელი იდეოლოგი ქალბატონები, საკუთარ სამშობლოში სოლიდურ ფულს უხდიან სექსუალურ **„მოძალადეებს!“)** და ცხადია ფილმი ეძღვნება **„უმწეო მსხვერპლის დაცვას ქართველი ველურისაგან!..“**

მე და ჩემისთანები პირდაპირ ვაცხადებთ – ეს არ არის ქართული ცხოვრების რეალური სურათი, იგი გახლავთ ევროპული აღვირახსნილობის პირდაპირი ინპლანტაცია, ჯერ კიდევ სუფთა ქართულ გარემოში. დასამალი არც ის არის, რომ მეძავობას და ავხორცობას ადრეც ჰქონდა და დღესაც აქვს ადგილი, მაგრამ რომ იტყვიან **„ძაღლის თავი სულ სხვაგან მარხია“** – ქართველ მადალჩინოსნების დიდ ნაწილს ბავშვობიდან მოყოლებული იგი საკუთარი დედების საქციელიდან მეტად მტკივნეულად ახსოვთ, მაგრამ იგი მასიური და ეპიდემიის დონის მოვლენა არასოდეს ყოფილა!. აქ უსაზიზღრეს ბოროტებასთან გვაქვს საქმე, როდესაც მსგავსი ბავშვობაგამოვლილი მადალჩინოსნები ცდილობენ ცხოვრების წესად დაუმკვიდრონ მომავალ საქართველოს თავიანთი დედების და უცხოელი **„კეთილისმსურველი მრჩევლების“** ავხორცული ცხოვრების წესი!..

ფრთხილად იყავით ქართველებო!

„ილორის“ ერთ-ერთ ნომერში წავიკითხე: **„არავინ იფიქროს, „რუსთავი 2“-ის „განრისხება“ სოდომის და გომორის საქციელის დაგმობას და აღმოფხვრას ემსახურება!.. პირიქით, მათი მიზანია დანარჩენ სამყაროს დაანახონ – შეხედეთ, ქართველი ხალხი ისეთივე ბინძური და აღვირახსნილია, როგორც დანარჩენი სამყარო და არ დაიჯეროთ მათი პრეტენზიები – განსაკუთრებულ, ქრისტესმიერ წესიერებაზეო!..”**

სწორედ ეს შემთხვევაა, ბატონი დავით კიკალიშვილის და მისი “**პოსტ სკრიპტუმის**” მთავარი მიზანი. მსგავსი ტელეგადაცემების ყოველდღიური ჩვენებით, ნელ-ნელა და მეთოდურად მიაჩვიონ მოსახლეობა, რომ ეს და მსგავსი მოვლენები გასაკვირი არ არის და იგი ჩვეულებრივი მოვლენაა! ეს ყველაზე საშინელი მზაკვრობაა და კიდევ ერთხელ – **ფრთხილად იყავით ქართველებო!**

ნიკოლოზობის დღესასწაულის მისა-

გაგრძელება 12 გვ

გილოცავთ ახალ წელს!

საახალწლო ინტერ-ვუი

სკანდალი გუმამერიდიანის გარშემო

ჯემალ ხარებავა:

"ისეთ ადამიანებს რა გამოლევს, რომლებიც ბოღმით და შურით არიან შეპყრობილნი"...

ამას წინათ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა (პირველი არხი) ჩვეული მონდომებით ცილისმწამებლურად მიასხა ლაფი ქართული "გუმამერიდიანის" (სლავისტიკურ) ინსტიტუტს. როგორც ამბობენ, ამის საზღაურად, ჟურნალისტებმა, დაინტერესებული პირებისაგან, ქრთამად საკმაო რაოდენობის თანხა მიიღეს. სამწუხაროდ, ამგვარ სიბინძურეს ჟურნალისტთა წრეში არც თუ იშვიათად აქვს ადგილი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღეს მუხლი ცილისწამებაზე პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წინასწარი განზრახვით ცრუ ინფორმაცია ყალბი დასმენა გახლავთ, რისთვისაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არავის მოუხსნია. და თუ ეს ხელისუფლება ამ ჟურნალისტებს ხელს აფარებს, მათ სხვა ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მაინც მოუწევთ პასუხისგება თავიანთ უმსგავსო და ყოვლად გაუმართლებელ საქციელზე. ქრთამით დაბრმავებულმა ქართველმა ჟურნალისტებმა, როგორც იტყვიან, "მიწასთან გაასწორეს" ჩვენი ერთადერთი "მეგობარი" ქვეყნის, უკრაინის განათლების სისტემა, და ადვილი წარმოსადგენია, ცილისწამების როგორ ნიაღვარს გამოუშვებდნენ ისინი, საქმე რომ რუსეთის რომელიმე საგანმაათლებლო სტრუქტურასთან ჰქონოდათ...

კიევის დარგთაშორისი სახელმწიფო ინსტიტუტისა და ქართული **"გუმამერიდიანის"** ინსტიტუტის ურთიერთთანამშრომლობის კავშირის არსებობამ საკმაოდ სკანდალური სახე მიიღო, რამაც **"გუმამერიდიანის"** სტუდენტები საკმაოდ გაურკვეველ ვითარებაში ჩააყენა. ჩვენ შევეცადეთ მოგვეკვლია ამ ორი ინსტიტუტის თანამშრომლობის ისტორია, რომელიც გამომდინარეობს ამ ორ მხარეს შორის დადებული ხელშეკრულებიდან, სადაც შავით თეთრზე სწერია, რომ ისინი გასცემენ საერთაშორისო ნიმუშის უკრაინულ დიპლომს.

როგორც განათლების ლიცენზირების სამსახურის უფროსი ნინო წერეთელი აცხადებს: **"გუმამერიდიანს"** გააჩნია საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია, მას შეუძლია გასცეს კერძო სასწავლებლის დიპლომი. ნინო წერეთელმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ მას არ სურს დაუსაბუთებელი კომენტარების გაკეთება, ვიდრე არ შეისწავლიან მხარეებს შორის დადებულ ხელშეკრულებას. ჩვენ გთავაზობთ ამონარიდს ამ ხელშეკრულებიდან. ხელშეკრულებაში ცალსახად და მარტივად სწერია, რომ: **"I პუნქტის II მუხლი. აკადემიური თანამშრომლობა გამიხილება მხარეების მიერ როგორც ინსტიტუტის მიერ აკადემიის რესურსების და ძალისხმევის გაერთიანება საგანმანათლებლო-საკვალიგიკაციო დონეზე, სპეციალისტების ხარისხიანი მომზადების უზრუნველსაყოფად, ევროპული სივრცის და სამეცნიერო კვლევების სესაბამისად, უკრაინის საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნით და უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის ჩარჩოში, რაც საშუალებას იძლევა გასცეს საერთაშორისო".** აღნიშნული ხელშეკრულება გამომდინარეობს ლისაბონში 1997 წელს დადებულ, ბოლონიის საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროცესების, საერთაშორისო ხელშეკრულებიდან.

ინფორმაციის გადასამოწმებლად ჟურნალისტები უკრაინაში, კიევის დარგთაშორის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორს ქალბატონ ოლგა ბორისის ასულ ოლეინიკს დაუკავშირდნენ:

– ქალბატონო ოლგა, რას უკავშირებთ თქვენი ინსტიტუტისა და "გუმამერიდიანის" წინაშე აგორებულ სკანდალს?

– ჩვენსა და **"გუმამერიდიანს"** შორის არავითარი სკანდალის საფუძველი არ არსებობს.

– რას გვეტყვით საქართველოს "I არხზე" თქვენი ინტერვიუს შესახებ?

– პირადად მე ამ ინტერვიუსათვის არ მიყურებია, მაგრამ, როდესაც ჩემთან მოვიდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ამ დროს ინტერვიუს ჩაწერას ესწრებოდნენ ჩვენი წარმომადგენლები და მათ სიუჟეტის ნახვის შემდეგ მითხრეს, რომ ჩემს ინტერვიუს მიეცა სხვა ინტერპრეტაცია, ანუ ამისთვის გამოიყენეს ტექნიკური საშუალებები, რაც გულისხმობს, რომ ჩემი ნათქვამი არასრულად იქნა გადაცემული.

– თქვენ ცალსახად და ღიად შეგიძლიათ დაადასტუროთ თქვენი თანამშრომლობა ხელშეკრულებაში მოყვანილი პირობების შესაბამისად?

– მოგახსენებთ, რომ ეს ხელშეკრულება დადებულია ბოლონიის სასწავლო პროგრამის პროცესების შესაბამისად, უკრაინისა და საქართველოს მთავრობების შეთანხმების საფუძველზე, რაც გულისხმობს: ყოველი სემესტრის შემდეგ გუმამერიდიანში ჩამოვლენ უკრაინელი პედაგოგები, მოხდება პროგრამებისა და მოდულების შეთანხმება, როდესაც ეს სტუდენტები ჩააბარებენ სახელმწიფო გამოცდებს, ჩვენ გადავცემთ უკრაინულ სახელმწიფო დიპლომს.

მისი ინტერვიუს შეგნებულად დამახინჯებასთან დაკავშირებით ქალბატონი ოლგა ოლეინიკი გულისწყრომას გამოთქვამს და აცხადებს, რომ მის მიერ გაკეთებულ კომენტარს ზუსტი ინტერპრეტაცია არ მიეცა, რისთვისაც საქართველოს ელჩ ქათამაძესთან ითხოვს შეხვედრას, რადგან თვლის, რომ შეილახა როგორც უკრაინის, ასევე მისი ინსტიტუტის პრესტიჟი. იგივე აზრისაა **"გუმამერიდიანის"** რექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯემალ ხარებავა**, რომელსაც ჟურნალისტები გაესაუბრნენ:

– ბატონო ჯემალ, რას იტყვით განათლების სამინისტროს მიერ გაკეთებულ კომენტარებზე?

– სამინისტრო ვალდებულია სცნოს ჩვენი დიპლომი, იმიტომ, რომ არსებობს ხელშეკრულება ორ სახელმწიფოს შორის, რომლის მიმართ არ მომხდარა რაიმე სახის ცვლილება ან დამატება. კანონი განათლების შესახებ არ კრძალავს მსგავსი დიპლომების გაცემას.

– მაშინ, ვინ არის დაინტერესებული თქვენი სასწავლებლის რეპუტაციის შელახვით?

– ისეთ ადამიანებს რა გამოლევს, რომლებიც ბოღმითა და შურით არიან შეპყრობილები. არასოდეს მქონია პირველ არხთან შეხება და არც ის პიროვნება ვარ, რომ საკუთარი თავის პოპულარიზების მიზნით კადრში გამოჩენას ვცდილობდე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი რიგზე მაქვს – 150 კაციც დასაქმებული მყავს და რამეში რომ ვტყუოდე, როგორ ფიქრობთ, მომცემდნენ ამის შესაძლებლობას?

– ანუ, თვლით, რომ თქვენს ინსტიტუტს საგანგაშო არაფერი აქვს?

– საგანგაშო ის არის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი და სახელმწიფო დაწესებულებები დაკავებული არიან ამგვარი ინსინუაციებით, როცა ქვეყანაში უამრავი პრობლემაა გადასაწყვეტი. მე არ ვიცი, რა ისეთი ინტერესი გამოიწვია ჩემმა პერსონამ, რომ ზედიზედ სამჯერ დაგვითმეს დრო **"მოამბეში"**.

– უკრაინის რექტორის გამოსვლასთან დაკავშირებით თქვენი კომენტარი?

– ქალბატონ ოლგა ოლეინიკის კომენტარი იყო არასწორად თარგმნილი და ამასთან დაკავშირებით იგი აუდიენციას ითხოვს უკრაინაში საქართველოს ელჩთან. ვფიქრობ, ეს საქმე ასე არ დასრულდება და **"პირველ არხს"** პასუხის გაცემა მოუწევს მისთვის უხერხულ მრავალ კითხვაზე...

– თქვენს სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

– ვაგრძელებთ მუშაობას ჩვეულ რითმში. რაც შეეხება ჩემს სტუდენტებს, ისინი ჩემგან არასოდეს იქნებიან მოტყუებული და გაწბილებული. მაქვს საგანმანათლებლო მეწარმეობის უფლება და არ ვარღვევ კანონს. საზოგადოებას ჩემს სიმართლეს ძალიან მალე დავუმტკიცებ. ყველაფერს ნათელი კი მაშინ მოეფინება, როდესაც დიპლომებს გავცემ.

სოსო კავკავაშვილი, შორენა ჯავაშვილი

რედაქციის კომენტარი – როგორც წესი, კანონების მკაცრად დამცველ სახელმწიფოში პასუხი მკაცრად უნდა აგოს ყველა უკანონობის მკადრებელმა დაბოღმილმა კონკურენტმა და ქრთამის ფასად მის ბოროტ ნებას აყოლილმა არაკეთილსინდისიერმა ჟურნალისტმა, მაგრამ, ვიდრე საქართველოში ეს არაქართული ხელისუფლება იბოგინებს, მანამდე კანონის დაცვის იმედი არავის არ უნდა გვქონდეს, რადგან კანონზე ფეხის უპირველესი დამბიჯებელი და უგულვებელმყოფელი სწორედ "ნაციონალების" ხელისუფლება გახლავთ.

რაც შეეხება "გუმამერიდიანს", აქ, მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ, გაზეთის მომდევნო ნომერში გამცნობთ.

საქართველოს ევროამერიკული მომავალი

ხელგაწვდილი ჯინსების თაობა

ერთ დღეს საკუთარ ფიქრებში ჩაფლული სამსახურში მივდიოდი. მეტრო **„რუსთაველს“** რომ გავუსწორდი, ფიქრებიდან გოგონას ხმამ გამომაფხიზლა: **„უკაცრავად, ხურდა ხომ არ გექნებათ?“** მივბრუნდი და ჰოი, საოცრებავ, დაბეჩავებული ხელგაწვდილი გოგონას ნაცვლად, ორი კარგად ჩაცმული, როგორც თინეიჯერები იტყვიან, **„მაგარ ზმანებში“** მყოფი გოგონები შემრჩნენ ხელში. ერთ-ერთმა ხელი გამომიწოდა და ისევ გამიმეორა, ხომ ვერ დამეხმარებითო. როდესაც მიუსაფარი ბავშვი გეუბნება, დამეხმარეო, ეს არავის უკვირს და მათ შორის – არც მე, მაგრამ, როდესაც გამოპრანჭული გოგონა გეუბნება, ფული მომეციო, მართლაც დამაბნეველია. ამ სიტუაციამ მეც დამაბნია, რადგან ამ **„სვეტსკი“** გოგონებისგან მსგავს საქციელს არ ველოდი.

მათაც შემატყვეს დაბნეულობა, ერთმანეთს ღიმილით გადახედეს და გამეცალნენ. გაოცებული უკან ავედევნე. შეჩერდნენ და რატომ მოგვყვებიო, მკითხეს. ვუთხარი, რომ ჟურნალისტი ვიყავი და მაინტერესებდა, ასე რატომ იქცეოდნენ. ჯერ ჩემი თავიდან მოშორება დააპირეს, მაგრამ დაჟინებული თხოვნის თუ მოთხოვნის შემდეგ ერთ-ერთი დამთანხმდა ეთქვა, თუ რატომ თხოულობდა ქუჩაში ფულს. ვინაობის გამხელაზე თავი შეიკავა, მაგრამ ამ შემთხვევაში, მათი ვინაობა არც მჭირდებოდა. მთავარი იყო, გამეგო მიზეზი, რის გამოც მათხოვრობდნენ. ჩემმა **„მათხოვარმა“** რესპოდენტმა 16 წლის ნინიმ აი, რა მითხრა: **„ვარ თბილისელი, შეჭლებული ოჯახიდან. ფულის პრობლემა ნამდვილად არ მაქვს, მშობლები არაფერს მაკლებენ, თუმცა რაღაც უკმარისობის გრძნობა ყოველთვის მქონდა. მეგობრები ყოველღამ დავდიოდით დისკოთეკებსა თუ ღამის კლუბებში, თუმცა იქ ვერ ვერთობოდი, „კაიფს“ ვერ ვიჭერდი** (ჟარგონისთვის მკითხველებს ბოდიშს მოვუხდი. – ავტ.). **შემდეგ ერთ-ერთ ფორუმში ვნახე თემა თინეიჯერებზე, რომლებიც ქუჩაში ფულს თხოულობენ და ამით ერთობიან. მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ჩვენც გვეცადა გართობის ეს ხერხი**".

– და დაიწყეთ ქუჩაში მათხოვრობა?

– ამას მათხოვრობას ვერ დავარქმევ, ეს გართობაა.

– ფულის თხოვნით განა შეიძლება გართობა?

– მშვენივრად შეიძლება. ვიკრიბებით მეგობრები და თბილისის პრესტიჟულ ადგილებში ვნაწილდებით. უფრო მეტად მეტრო **„თავისუფლებისა“** და **„რუსთაველის“** მიმდებარე ტერიტორიებზე. მე და ჩემი დაქალი (რომელიც ახლდა) ყოველთვის მეტრო **„რუსთაველთან“ „ვაბირჟავებთ“,** ვდგავართ და ვარჩევთ ადამიანებს, რომლებზეც შეიძლება **„კაიფი“.**

– როგორ არჩევთ „საკაიფო“ ადამიანებს, თუნდაც მე როგორ ამირჩიეთ?

– საერთოდ, იმის მიხედვით ვარჩევთ, თუ როგორია ადამიანი. სოფლელებსა და **„გოიმებს“** სახეზე და ჩაცმაზე ვცნობთ. მივდივართ მათთან და ფულს ვთხოვთ. ისინი ჩვენგან ამას არ მოელიან და იბნევიან, უცებ, ჯიბიდან ფულს იღებენ და დაბნეული სახით გვაძლევენ. ამ შემთხვევაში ის უკვე **„დაგოიმდა“** და მაგაზე ძალიან ვხალისობთ. შენს შემთხვევაში სხვა მიზეზი იყო. იმიტომ მოვედით შენთან, რომ ჩაფიქრებული მოდიოდი, მივხვდით, რომ ჩვენი თხოვნა აუცილებლად დაგაბნევდა (ეს ჩემთვის დიდი პატივია. – ავტ).

– ვისთანაც მიდიხართ, ფულს ყველა გაძლევთ?

– არა, ზოგიერთი არ გავძლევს, ხვდებიან რომ ვატყუებთ და მიდიან.

– ანუ, ამ შემთხვევაში, სათანადოდ ვერ შეარჩიეთ „მსხვერპლი“?

– ალბათ, ზოგიერთმა იცის ჩვენი გართობის შესახებ და ამიტომ არ გვაძლევენ ფულს ან შეიძლება ჩაცმულობა **„ბანძი“** აქვს, მაგრამ ჭკვიანია და ხვდება.

– ნუთუ თბილისში სხვა გასართობი არაფერია?

– მოგვეზრდა ამ დისკოთეკებსა და კაფეებში სიარული. ეს კი გართობის საუკეთესო საშუალებაა. სადამოს მეგობრები ვიკრიბებით, ვიხსენებთ ყველა იმ ადამიანს, რომლებიც **„დავაგოიმეთ“** და ამაზე ძალიან ვხალისობთ.

ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ მათხოვრობით თუ გართობა შეიძლებოდა, ნამდვილად ვერ წარმომედგინა. ამ გაჭირვებულ ქვეყანაში დარიბი და მოწყალების მთხოვნელი ადამიანი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება, ამათ კიდევ შეძლებული ოჯახის შვილები დაემატნენ. თქვე დალოცვილებო, ამ საწყალ ხალხს რომ უწევთ კონკურენციას, არ ჯობია, ერთმანეთს სწავლაში შეეჯიბროთ. თუმცა ჩვენს ხელისუფლებას დაბეჩავებული და მათხოვარი ერი უფრო აწყობს, ვიდრე ნასწავლი და მოაზროვნე, რადგან სამართავად სხვის ხელში შემყურე ადამიანი ბევრად იოლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავთ ახალ წელს!

მამონასაგან შეშლილი მსოფლიო

დასავლური ღირებულებები, დასავლური ცხოვრების წესი, დასავლური განათლება დღეს ბევრისთვის საოცნებო გამხდარა, ბევრი ეზიარა კიდეც ამ **"დიდ სიკეთეს"**. თვით განათლების (ამჯერად, უკვე **ყოფილი**) მინისტრი მიდის დასავლეთში განათლების მისაღებად.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამა სოფლის ძლიერთა ნება-სურვილით კოლეჯად გადააკეთეს და მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული სამეცნიერო სკოლები, მათემატიკოსები, ფსიქოლოგები, ფიზიოლოგები, ენათმეცნიერები, სიბრძნისმეტყველები, ასტროფიზიკოსები... სამშობლოში აღარავის სჭირდება, ჩარეცხილებად გამოაცხადეს!

ახალი საქართველოს ახალი წელთაღრიცხვა 2003 წლიდან დაიწყო!

ეს ექვსიოდე წელიწადია ღამურებად ქცეულმა თაგუნებმა დაგმეს საკუთარი ბუნება, საკუთარი უძველესი კულტურა, თვით აღმსარებლობაც კი და თავი ევროპელებად მოაქვთ. არც ეს გამოსდით როგორც საჭიროა! გაზეთებიდან შევიტყე, რომ ევროპაში გამგზავრებული მაღალი რანგის ჩინოვნიკების დელეგაცია, აქაო და ევროპელები ვართო, ჩვენც შეგვიძლია თავისუფლად მოქცევა, თავისუფალი სიტყვა-პასუხი, დაკომპლექსებული სულაც არ ვართო და, როგორც იტყვიან, მაგრად შეუბერეს! ერთ-ერთ შეზარხოშებულს, თავი კიტრად რომ არ მოაქვს, შოტლანდიელების ეროვნული სამოსი (კილტი) თვალში არ მოსვლია, ეს რა **"იუბკები"** გაცვიათო, აუხირდა თურმე მასპინძლებს.

მოგეხსენებათ, ევროპელებს კავკასიური სტუმარ-მასპინძლობისა არაფერი გაეგებათ და სტუმარი პოლიციაში მიუბრძანებიათ!

ამ შემთხვევაში ჩვენი დელეგაციის წევრებს სულაც არ ვამტყუნებ. მარტო იმის ძახილი: **"ქართველი ვარ, მაშასადამე ევროპელი ვარ"** საქმეს არა შველის. საჭიროა ევროპული უნარ-ჩვევების გამომუშავება, ადაპტაცია, ტრენინგი! ამას კი დრო სჭირდება.

მართალია, მავანთა აზრით ქართველობა ევროპელობას ნიშნავს, მაგრამ თუ ევროპულ უნარ-ჩვევებს, ცხოვრების წესს, ზნე-ჩვეულებებს არ შევისისხლხორცებთ, მაშინ ჟვანიას ლოზუნგი ფუჭი, უაზრო წამოძახილი ყოფილა!

ძალიან კარგი, ვიყოთ ევროპელები! მაგრამ მოდით ვნახოთ თუ რას წარმოადგენს ევრო-ამერიკული ზნე-ჩვეულებები, რას წერენ თანამედროვე დასავლეთის შესახებ ცნობილი პოეტები და მეცნიერები.

ინგლისურენოვან ირლანდიელ პოეტს ტომას მურს **აშშ**-ში უმოგზაურია და ამერიკელებზე ასეთი შთაბეჭდილება დარჩა: **"მათ მიაღწიეს სიმწიფეს მანკიერებებში და ცივილიზაციით სიამაყეს. ეს სიამაყე კი ძალიან დაშორებულია მის საუკეთესო თვისებებს, ამიტომ შეუძლებელია იგრძნო ის, რომ ამ ხრწნადმა ახალგაზრდობამ, შემდგომი დაცემის სავარაუდო განჭვრეტამ უნდა ჩაახშოს ამერიკის მომავალი დიდების ყოველივე იმედი"** (**"Хрестоматия по зарубежной литературе XIX века".** М. 1955, стр.189).

ეს სიტყვები პოეტმა დაწერა 1804 წელს.

1925 წელს, ბროდვეიზე მოსეირნე ვლადიმერ მაიაკოვსკის ამერიკელებზე ასეთი შთაბეჭდილება დარჩა:

"თუ შეაჩერა
წამით ღეჭვა
ჩუინგვამისა,
შეგესიტყვება:
"მეკ შონეი?"
თუ დედამ მკერდი
მისცა თავის
თოთოს და უძლურს,
ცხვირზე წვეთებით
იგი უტკბეს სიამეს იძენს,
წოვს, თითქოს იყოს
ეს დოლარი და არა ძუძუ –
თითქოს აკეთებს სერიოზულ
საკუთარ ბიზნესს".

როგორი სურათია? ამერიკელი ჩვილი დედის ძუძუს პრაგმატულად უყურებს, ძუძუს წოვა ბიზნესი ჰგონია! ეს ჩვილი რომ გაიზრდება, მისთვის ღვთაებრივი სიტყვები – სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა – აბსოლუტურად მიუღებელი იქნება, არ შეძრავს, არ დაბურძგნის, თვალზე ცრემლი არ მოადგება.

როგორც ვხედავთ, 1804 წლიდან 1925 წლამდე სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა: საღეჭი რეზინის ცოხნა წამით თუ შეაჩერა, მისალმებად ქცეული სიტყვებით მოგმართავს **"ფულს აკეთებ"**?

მწერალ მაქს ფრიშის ცნობილი რომანის **"ჰომიფაბერის"** გმირი, თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის ნაყოფი იმდენად გაუცხოებულია, რომ მას ადამიანთან ჭადრაკის თამაშს, რობოტთან თამაში ურჩევნია... სხვადასხვა ქვეყნებში მოხეტიალე ინჟინერი, უსამშობლო, კოსმოპოლიტი, უოჯახო, სასტუმროების მარადი სტუმარი ერთ ახალგაზრდა ქალს გაიცნობს და რამდენიმე დღეში სექსუალურ პარტნიორად ჰყავს. ეს ქალი კი საკუთარი ქალიშვილი აღმოჩნდება!

ვიცი, ხოგიერთი მკითხველი მისაყვედურებს, მწერლები და პოეტები ფანტაზიორობენ, უყვართ ცალკეული შემთხვევების განზოგადება, არა მჯერა მათი ემოციებისო.

ეს მთლად ასე არ არის. დავუშვათ, ასეა! მაშინ ვნახოთ რას ამბობენ დასავლურ ცივილიზაციაზე პოეტებთან და მწერლებთან შედარებით ფრიად სერიოზული მეცნიერები: კრიმინალოგები, სოციოლოგები, თეოლოგები, ფსიქოლოგები, პედაგოგები...

განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა ზრდა **აშშ**-ში ასე გამოიყურება:

1961 წელი – 2.082.400;

1970 წელი – 5.568.200.

1973 წლის იანვარში ვაშინგტონში სამი ათასი მძიმე დანაშაული ჩაიდინეს. 1972 წლის იანვართან შედარებით მკვლელობათა რიცხვი 34,8 %-ით გაიზარდა (ი. ტორვალდის წიგნიდან **"კრიმინალისტიკის ასი წელი"**, თბილისი, 1978 წელი, გვ.15).

იქნებ ეს დანაშაულობანი რეციდივისტებმა, დაქირავებულმა მკვლელებმა ჩაიდინეს? შეიძლება ეს ესეც იყოს, მაგრამ როცა გაეცნობით ამერიკელ მოსწავლეთა ზნეობრივ სურათს, მიხვდებით, რომ ამერიკას დამნაშავეთა საკმაო რეზერვი აქვს.

ცნობილმა ამერიკელმა სოციოლოგმა ბრიუს იუკსონმა 80-იან წლებში სოციოლოგიური გამოკვლევები ჩაატარა. სურათი ასეთია: უფროსკლასელთა 65% სექსუალურ ცხოვრებას ეწევა; 75 % პოლიციის არრიცხვაზე; მოსწავლეთა 30 %-მა ერთხელ მაინც იქურდა მაღაზიაში; მოზარდთა 45-50%-მა აბორტი გაიკეთა; მოსწავლეთა 10% ან რეგულარულად ეწევა, ან ერთხელ მაინც გასინჯა ჰომოსექსუალისტური აქტი; მოზარდთა შორის 3,5 მილიონი ალკოჰოლიკია; 1.000 ამერიკელი ყოველდღიურად ცდილობს თვითმკვლელობას (წიგნიდან ზ. ცუცქირიძე, ნ. ორჯონიკიძე, **"განათლების თანამედროვე თეორიები"**, თბ. 2005, გვ. 49).

ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ მკითხველს აუცილებლად მოაგონდება თომას მორის პოეტური ინტუიციით გამოტანილი განაჩენი: **"ამ ხრწნადმა ახალგაზრდობამ, შემდგომი დაცემის სავარაუდო განჭვრეტამ უნდა ჩაახშოს ამერიკის მომავალი დიდების ყოველივე იმედი"!**

ეს ახალგაზრდები, სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტებში აგრძელებენ, სადაც მრავალი ქართველი სწავლამოწყურებული ახალგაზრდა ევრო-ამერიკულ უნარ-ჩვევებს პრაქტიკულად ეუფლება.

აშშ-ში შემუშავდა და პრაქტიკაში დაინერგა ე.წ. **"ახალგაზრდობის ცხოვრებასთან შეგუების პროგრამა"**. როგორც ამერიკელი მკვლევარები აღნიშნავენ, ამ პროგრამამ დიდი როლი ითამაშა უპრეცენდენტო კონფორმიზმის დამკვიდრებაში. ყალიბდება ახალი ტიპის **"მასის ადამიანი"**, ნევროტიული, ფსიქიურად გაუწონასწორებელი. **"მასის ადამიანი"** თავის სულიერ სიცარიელეს ავსებს **"მასობრივი კულტურით"**, **"სექსუალური რევოლუციით"**, ალკოჰოლით, ნარკოტიკებით... მასის ადამიანი მოჭარბებულად ანგარიშიანია, ცინიკურად უყურებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ადამიანებთან ურთიერთობებს აფასებს მისი გამოყენების თვალსაზრისით...

სპეციალური ლიტერატურის მიუთითებლად შეიძლება ვთქვათ, რომ მსგავსი სოციოლოგიური გამოკვლევებით წარმოჩინდება ამერიკელ და ევროპელ სტუდენტ-ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონე. მრავალ მათგანს შექსპირი და გოეთე **"მანჩესტერის"** თუ **"რეალის"** ფეხბურთელებო ჰგონია... საფრანგეთიოს ერთ-ერთი უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა დედამიწის რადიუსთან დაკავშირებული ამოცანა ამოხსნეს კომპიუტერის მეშვეობით და პასუხი მიიღეს: დედამიწის რადიუსი 14 სანტიმეტრი ყოფილა (კომპიუტერში მცდარი მონაცემების შეყვანის გამო)! უბედურება ის არის, რომ არც ერთ მათგანს პასუხის სისწორეში ეჭვი არ შეეპარათ! მანქანად ქცეული ადამიანი მანქანას ბრმად ენდობა!

ცნობილი ფსიქოლოგი ერიჰ ფრომი **"მასის ადამიანს"** ასე ახასიათებს: დღეს თქვენ შეხვდებით ადამიანს, რომელიც ისე იქცევა და გრძნობს, როგორც ავტომატი, რომელსაც საკუთარი არაფერი აქვს... ასეთი ადამიანი ემსგავსება მილიონობით სხვას საკუთარი **"მე"**-ს განადგურებით... (წიგნიდან **"История зарубежной психологии" Москва, 1986, стр.172-184**).

არქიმანდრიტი იუსტინე პოპოვიჩი ნაშრომში **"მართლმადიდებლური ეკლესია და ეკუმენიზმი"** განიხილავს რა ევროპულ კულტურას, წერს: **"...დარჩა მხოლოდ ნამსხვრევი ადამიანისა, მხოლოდ სხეულებრივი ჩენჩო, რომლისგანაც განუდევნიათ სული. მართალია ეს ჩენჩო დახვეწილია, გარანდულია, ელვარებამდეა გაპრიალებული, მაგრამ მაინც ჩნეცოა მხოლოდ, და მეტი არაფერი. ევროპულმა კულტურამ სულისგან გაძარცვა, გაანივთიერა, გაამატერიალურა ადამიანი, რაღაც საშინელ მანქანად გადააქცია იგი; და აი, ევროპული კულტურა ახლა ურჩხულისმაგვარ საზარელ მანქანად წარმოსდგება ჩვენს წინაშე, რომელიც შთანთქავს ადამიანებს და ნივთებად გადაამუშავებს მათ. და ფინალიც ამისა მძიმე და ტრაგიკულია: ადამიანი უსულო საგნად ქცეულა უსულო საგნებს შორის"** (**"სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა",** V ტომი, თბ. 1995, გვ.118).

როგორი საოცარი სიზუსტით ახასიათებენ ფსიქოლოგი ფრომი და სერბი სასულიერო მოღვაწე არქიმანდრიტი იუსტინე თანამედროვე ევრო-ამერიკული კულტურის ნაყოფს, უსულო საგნად, მანქანად ქცეულ ადამიანს!

"მკვდარი ღმერთის ღმრთისმეტყველების" მთავარი იდეოლოგის, ამერიკელი უილიამ ჰამილტონი დემონის კარნახით ლაპარაკობს ღმერთის სიკვდილზე. რადგან ღმერთი მოკვდა, ადამიანებს აღარ ჭირდებათ ზეციური მხსნელი... მკვდარ ღმერთთან ურთიერთობა საჭირო არ არის, მთავარია ადამიანის ადამიანთან ურთიერთობა. ეს ჰამილტონისეული დოგმა **"ადამიანის სხვა ადამიანთან ურთიერთობა"** ნიშნავს იმას, რომ კათოლიკური ეკლესია და მის წიაღში წარმოშობილი პროტესტანტიზმი თავიანთი ათასგვარი განშტოებებით უკვე საკურთხეველთან ჯვარს წერს ერთი სქესის წარმომადგენლებს! უკვე შეიძლება სქესის გადაკეთება-გადმოკეთება!

კათოლიკური ეკლესიის მიერ ინდულგენციებით ვაჭრობა ამ საშინელებასთან შედარებით უმნიშვნელო ცოდვად მოგეჩვენება. დღეს რომ ეცხოვრა შპენგლერს, ამ ამაზრზენი ამბების შემყურე **"ევროპის დაისს"** კი არ დაწერდა, არამედ **"ევროპის სიკვდილს"**! თუმცა, როგორც მაშინ, ალბათ ახლაც თავის ნაშრომს ოპტიმისტურად დაამთავრებდა: ევროპული კულტურის შემდეგ დადგება დრო დოსტოევსკური კულტურისა, ანუ მართლმადიდებლური კულტურისა.

დანაშაულია კავკასიურ-იბერიული მოდგმის ადამიანი ევრო-ამერიკული ცხოვრების წესზე გადავიდეს, წარმართული ღვთაება მამონას მონად იქცეს, მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობისათვის უღალატოს ღვთივკურთხეულ საკაცობრიო მარადიულ ღირებულებებს.

სამწუხაროდ, მისისიპდალეული ხელისუფლება ყოველგვარი საშუალებებით, შეგნებულად თუ შეუგნებლად ქართველი ერის გაამერიკელებას ცდილობს. ამერიკანიზაცია არა თუ მცირერიცხოვან ერებს, არამედ დიდი ერებისათვისაც კი საფრთხეს წარმოადგენს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ამერიკანიზაციას იტალიელები და ფრანგები თავიანთი კულტურით, კინემატოგრაფით დაუპირისპირდნენ...

ჩვენც შეგვიძლია ეროვნული კულტურით დავუპირისპირდეთ მასონ-გლობალისტთა ვერაგულ ზრახვებს, მაგრამ საუბედუროდ, ღამურებად გადაქცეული ლანჟოსანი და აპელაციის მცოდნე ჩინოვნიკები გულმოდგინედ ცდილობენ ქართული კულტურის, ცხოვრების წესის გაფარაჯანირებას, გადაგვარებას, ქართული სულისგან დაცლას...

ნეტავ ვცდებოდე, მაგრამ მეჩვენება, რომ დედაქალაქში განთავსებული ტელევიზია, რომელიც დღედაღამ ძალადობის, სატანისტური მუსიკის, იდიოტური ტელესერიალების მეტს ვერაფერს აჩვენებს, თეატრის მესვეურები, რომლებიც ინგლისიდან პედერასტ მსახიობებს იწვევენ პედერასტული სპექტაკლების დასადგმელად, კინორეჟისორები, რომლებიც უცხოელ რეჟისორებს ეჯიბრებიან ძალადობის, გაუკუღმართებული სექსის შესახებ ფილმების გადაღებაში და სხვანი და სხვანი ნაწნავ-საყურეებიან-ბლანჟეებიანი სტილისტები, კუტიურეები, ესტრადის მოტლინკავე მომღერლები, მასობრივი კულტურის უნიჭო, პროვინციალი წამბაძველები ცდილობენ ქართულ სინამდვილეში დანერგონ ყოველივე ის უკეთურება, რასაც დასავლეთის ცნობილი სასულიერო მოღვაწენი და მეცნიერები ამხელენ და ებრძვიან.

მხოლოდ მესიანისტური იდეით გაერთიანებული ერი შესძლებს თვითგადარჩენას!

ვფიქრობ, გაზეთ **"ილორის"** მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს მივყავართ დავიწყებული მესიანისტური იდეის გახსენებისაკენ, მისი ახლებურად გააზრებისაკენ. ეს მესიანისტური იდეა სულიერად მისაღები უნდა იყოს როგორც საქართველოს ყველა კუთხის შვილებისათვის, ასევე უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის, განსაკუთრებით კოლხური სამყაროს ცოცხალი ძეგლის, თანამედროვე ქართულის ფუძე ენაზე მოლაპარაკე ჩვენი ძველი ძმების ლაზებისათვის...

თენგიზ კუბლაშვილი

გილოცავთ ახალ წელს!

პავლე კანდელაკი

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პავლე კანდელაკი – მსახიობი და მომღერალი, სახელმწიფო ფილარმონიის, ოპერისა და ბალეტის, რუსთაველისა და გრიბოედოვის სახელობის თეატრების დირექტორი, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, კინემატოგრაფიისა და კულტურის მინისტრის მოადგილე და ბოლოს, კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი. აი, მის მიერ განვლილი გზა ხელოვნებისა და კულტურის სფეროში მოღვაწეობის ორმოცი წლის მანძილზე, რითაც მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული სულიერების განვითარების საქმეში.

"გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის პავლე კანდელაკის მთელი ცხოვრება სამშობლოსადმი, ეროვნული კულტურის განვითარებისათვის თავდადებული სამსახურის შესანიშნავი მაგალითია" – ამ სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა, 1970 წლის 10 იანვარს, პავლე კანდელაკის მოსაგონარ სადამოზე გამოჩენილმა ქართველმა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა.

პავლეს მამა, მამანტი კანდელაკი წარმოშობით სამტრედიიდან იყო, მაგრამ ხარკოვში ფარმაცევტული განათლების მიღების შემდეგ მთელი სიცოცხლე სამეგრელოში გაატარა. იგი აბაშაში დასახლდა, სადაც აფთიაქი გახსნა და, როგორც პროვიზორი, მთელ იმ კუთხეს მოეკლინა მფარველ-ანგელოზად. მამანტი იყო მეცენატი, რომელიც უკანასკნელ კაპიკსაც კი არ იშურებდა სამეგრელოში, კერძოდ აბაშაში კულტურისა და განათლების დონის ასამაღლებლად.

მწერალი როდიონ ქორქია წერს: **"შალვა დადიანისგან ხშირად გამიგონია, ძველ ქართულ თეატრს მეცენატები რომ არ ჰყოლოდა, ვერ იარსებებდაო"**. ერთი ასეთი მეცენატი მამანტი კანდელაკი გახლდათ. მამანტის მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, სადაც ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიასაც კი ნახავდით.

მამანტიმ ბევრს ჩაუნერგა გულში თეატრის სიყვარული, მათ შორის თავის შვილს, პავლეს, რომელიც შემდგომში ცნობილი თეატრალური მოღვაწე გახდა.

აი, ასეთ ოჯახში დაიბადა პავლე კანდელაკი 1900 წლის 29 იანვარს.

აბაშაში პერიოდულად იმართებოდა წარმოდგენები ადგილობრივი სცენისმოყვარეთა ძალებით. საგასტროლოდაც ჩამოდიოდნენ ქართული სცენის გამოჩენილი მოღვაწეები. მაშინ რაიონში წარმოდგენებისა და კონცერტების მოსაწყობად რაიმე სპეციალური ნაგებობა არ არსებობდა. ღონისძიებები ტარდებოდა სკოლის შენობაში, კერძო ბინებში, დიდ დარბაზებში და აივნებზე.

თანამედროვის გადმოცემით, აბაშაში კარგი მაყურებელი იყო, ამიტომაც არც ერთი მოძრავი დასი თუ საგასტროლო ჯგუფი აბაშას გვერდს არ აუვლიდა.

აბაშის ხშირი სტუმრები იყვნენ გამოჩენილი მოღვაწეები შალვა დადიანი, ვალერიან გუნია, ვალერიან ურუშაძე, ნიკო ჯავახიშვილი; კონცერტების გასამართავად ჩამოდიოდნენ სანდრო ინაშვილი, ვანო სარაჯიშვილი და სხვები.

პავლე კანდელაკი იხსენებდა: **"როცა ცოტა წამოვიზარდე, არდადეგების დროსა და ზაფხულობით უკვე მეც ვღებულობდი მონაწილეობას წარმოდგენებში. ჩვენი წრე წარმოდგენებს მართავდა როგორც აბაშაში, ისე ახლომახლო სოფლებში. ზოგჯერ წარმოდგენები გვქონდა სენაკში, სამტრედიაში, ფოთსა და ბანძაში. ახლა, როცა ვიგონებ ჩვენს წარმოდგენებს, მაინც-დამაინც ბევრი არაფერი იყო სატრაბახო. მეზობელ რაიონებში გაცილებით უფრო ძლიერი სცენისმოყვარეთა წრეები იყო. მაგალითად, ახალ სენაკში გ. ჯაკობიასა და აკაკი ხორავას ხელმძღვანელობით სცენისმოყვარეთა ძლიერი დასი იყო ჩამოყალიბებული. ამ ჯგუფს კარგი სახელი ჰქონდა და მათ მიერ გამართული წარმოდგენები დიდძალ მაყურებელს იზიდავდა. მათი სპექტაკლები დიდი მოწონებით სარგებლობდა არა მარტო ახალ სენაკში, არამედ მახლობელ დაბებშიც კი. დ. კობახიძის და შემდეგ კი გ. ხელაიას ხელმძღვანელობით სამტრედიაში მუშაობდა სცენისმოყვარეთა წრე. ორივე წრეს საინტერესო რეპერტუარი ჰქონდა".**

დასავლეთ საქართველოში განთქმული იყო ფოთის სცენისმოყვარეთა დასი, რომელშიც გაერთიანებული იყო როგორც ადგილობრივი ახალგაზრდობა, ისე ნავსადგურის მუშები. წარმოდგენები იმართებოდა კინოთეატრ **"კომეტას"** შენობაში.

როგორც ფოთში, ისე სენაკში ადგილობრივ სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად ჩადიოდნენ ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატები, მათ შორის შალვა დადიანიც.

კანდელაკების ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ მსახიობები ო. ღოღობერიძე და ს. ყალაბეგიშვილი, რომლებიც თავს უყრიდნენ ადგილობრივ ახალგაზრდობას, რომელიმე პიესას ამზადებდნენ და რამდენიმე სპექტაკლს უჩვენებდნენ მოსახლეობას. მათ წარმოდგენებში პავლე კანდელაკიც იღებდა მონაწილეობას.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის წარმატებით დამთავრების შემდეგ ოჯახმა პავლე კანდელაკი სასწავლებლად თბილისში გაუშვა, სადაც იგი ა. ფაღავას მიერ დაარსებულ თეატრალურ სტუდიაში ჩაირიცხა. პავლე სწავლობდა აკაკი ხორავასთან, ვასო გოძიაშვილთან, პიერ კობახიძესთან, ვანიკო აბაშიძესა და სხვა გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეებთან ერთად. შემოქმედებით საქმიანობას ეზიარა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის რეჟისორობით, რაც უაღრესად წარმატებული სტარტი გახლდათ ნიჭიერი ახალგაზრდისათვის.

სტუდია-ინსტიტუტში სწავლის პარალელურად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლობდა ო. შულგინას კლასში, სადაც მისი თანაკურსელები იყვნენ პეტრე ამირანაშვილი, მიხეილ ყვარელაშვილი, ნადეჟდა ცომაია და სხვები. თეატრალური სტუდიის დამთავრების შემდეგ იგი ჩაირიცხა რუსთაველის თეატრის შტატში, სადაც დიდი შემოქმედებითი აღმავლობა სუფევდა მარჯანიშვილისა და ახმეტელის ხელმძღვანელობით. პავლე კანდელაკმა თეატრში რამდენიმე ღირშესანიშნავი როლი ითამაშა, მათ შორის, იგი უშანგი ჩხეიძის დუბლიორი იყო ცალკეულ პიესებში: **"მზის დაბნელება საქართველოში"**, **"გმირი"**, **"ცხვრის წყარო"**. გარდა ამისა შეასრულა კაპიტნის როლი სპექტაკლში **"საჭე მარცხნივ"**, იარცევის როლი ბ. ლავრენიევის **"რღვევაში"**. დაკავებული იყო აგრეთვე სპექტაკლებში **"ზაგმუკი"**, **"ლატავრა"**, **"ლამარა"** **"ქართა ქალაქი"**. მან იმღერა ახმეტელის მიერ დადგმულ ოპერა **"ლატავრაში"** (1928 წ.). თეატრში მუშაობის პერიოდში პავლემ დაამთავრა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რამაც ხელი შეუწყო მის მომავალ საქმიანობას.

1930 წლის სექტემბრიდან პავლე კანდელაკი ადმინისტრაციულ საქმიანობას ეწევა თეატრში, 1931 წელს ინიშნება რუსთაველის თეატრის ადმინისტრატორად, შემდეგ კი ადმინისტრაციულ-ტექნიკური ნაწილის გამგედ.

1937 წელს პავლე კანდელაკი დანიშნეს **"საქფილეგთის"** დირექტორად, სადაც მან უამრავ სასიკეთო საქმეს დაუდო სათავე. 1938 წელს იგი გადაიყვანეს სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სადაც 1950 წლამდე იმუშავა.

რთული დრო უდგა ქვეყანას, მძვინვარებდა ომი, მაგრამ ერთი წუთითაც არ შენელებულა კულტურული ცხოვრების რითმი. ჯერ კიდევ ისმოდა ომის ექო, როცა პავლე კანდელაკი შეუდგა თბილისის მოზარდ-მაყურებელთა თეატრის მზადებას მოსკოვში საგასტროლოდ, სადაც ტარდებოდა თეატრების დეკადა. ამ ღონისძიებამ დიდი სტიმული მისცა თეატრებს. იმდროინდელი პრესა აღნიშნავდა, რომ **"საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის პავლე კანდელაკის სახით ბავშვთა თეატრებს ჰყავს გულისხმიერი და კვალიფიციური სპეციალისტი"**.

1955 წელს კვლავ თავის მშობლიურ თეატრს დაუბრუნდა უკვე დირექტორის ფუნქციით. გამოჩენილი ქართველი რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი იხსენებს: **"პავლე კანდელაკი ძალიან კარგი დირექტორი იყო, თავდაუზოგავად მუშაობდა. შეუძლებელია, მის გვერდით გულხელდაკრეფილი მჯდარიყავი. ...ყველაფერი წინ გვქონდა, ყველაფერი ნათელი იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ საჭიროა ბევრი მუშაობა, მეთოდის ათვისება, თანამეგობრობის განმტკიცება, ახალი თანამოაზრეების გაჩენა. ვხედავდით, რომ ამის მიღწევა უკვე არ გვიჭირდა, რადგან იმ პერიოდში პავლე კანდელაკის დირექტორობის დროს, კოლექტივში მშვიდი შემოქმედებით ატმოსფერო შეიქმნა"**.

ბატონი პავლე დიდ დროს ახმარდა ახალგაზრდა კადრებთან მუშაობას. მან ახლოს გაიცნო ქართველი თეატრალური ახალგაზრდობა, გრძნობდა მათ პოტენციურ ძალას, პერსპექტულობას, მაგრამ არ მათი ნაკლოვანებების გამხელას ერიდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული თეატრის სცენა ეპყრათ ა. ხორავას, ვ. ანჯაფარიძეს, ა. ვასაძეს, შ. დამბაშიძეს, ს. თაყაიშვილს, გ. შავგულიძეს, ს. ზაქარიაძეს და სხვა გრანდებს, პავლე კანდელაკმა კარგად იცოდა, რომ თეატრში აუცილებელია ახალი თაობის მომზარება, რომ დრო და ცხოვრება მალე მოიტანდა მათი წარმოჩენის აუცილებლობას, რომ ძველს ახალი შეცვლიდა. ასეთია ცხოვრების ლოგიკა და სწორედ ამისათვის ამზადებდა პავლე კანდელაკი თეატრს. დიდ დროს უთმობდა რაიონული თეატრების და საგანმანათლებლო დარგის მუშაობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში და რასაკვირველია, მისი ყურადღების ცენტრში აბაშის კულტურული ცხოვრებაც იყო. გასაკვირიც არ იყო, რადგან მამამ დიდი სიყვარული ჩაუნერგა შვილებს აბაშისადმი, ამიტომაც, პავლეს დები, ლილი და სონია, წლების მანძილზე პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ აბაშის სკოლებში.

პავლე კანდელაკმა დიდი ენერგია მოახმარა მუსიკალურ ცხოვრებას. მისი უშუალო ინიციატივით ჩამოყალიბდა სიმებიანი კვარტეტი, ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს კაპელა და სხვა.

საქართველოს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში პავლე კანდელაკის დირექტორობის დროს ქართული კულტურის დიდ გამარჯვებად ითვლება ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ კომპოზიტორ დავით თორაძის ბალეტის **"გორდას"** დადგმა, რაშიც დიდი წვლილი სწორედ ბატონ პავლეს მიუძღოდა. ოპერის თეატრის რეჟისორი მიხეილ კვალიაშვილი თავის მოგონებებში ამგვარად ახასიათებს პავლე კანდელაკის მოღვაწეობას: **"ოპერაში ჩემი მრავალწლიანი მოღვაწეობის პერიოდში ბევრი დირექტორი მინახია, მაგრამ ისეთი დირექტორი, როგორიც პავლე კანდელაკი იყო, ჩვენ არ გვყოლია; იგი, შეიძლება ითქვას, უბადლო ხელმძღვანელი იყო."**

პავლე კანდელაკი თითქმის ორი წელი (1951-1952) იყო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. მისი მუშაობის ამ პერიოდისათვის ყველაზე ღირშესანიშნავი ღონისძიება იყო ლესია უკრაინკის ძეგლისა და სახლმუზეუმის გახსნა სურამში.

კულტურის მინისტრის მოადგილედ მუშაობისას ხელმძღვანელობდა ცირკის დაარსებას, კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლების გახსნას. შემდეგ იგი რუსთაველის თეატრის დირექტორი იყო, საიდანაც 1956 წლის ოქტომბერში გრიბოედოვის სახელობის თეატრის დირექტორად გადაიყვანეს. ამიტომ, მან უშუალო მონაწილეობა ვერ მიიღო დეკადაში, როგორც რუსთაველის თეატრის დირექტორმა, მაგრამ თეატრის წარმატებას მისი დირექტორობის ჟამს ჩაეყარა საფუძველი. მან ჩვეული ენთუზიაზმით დაიწყო გრიბოედოვის სახელობის თეატრში მუშაობა. რეპერტუარში დიდი ადგილი დაუთმო გმირულ, ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკას.

პავლე კანდელაკმა ბევრი იზრუნა, რათა რუს მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონოდა გასცნობოდა მდიდარ ქართულ დრამატურგიას.

1962 წელს პავლე კანდელაკი დაინიშნა მარქსის სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორად, სადაც მუშაობა გააქტიურდა, ეწყობოდა შეხვედრები ხელოვნების მუშაკებთან, მწერლებთან, მეცნიერებთან... დაიწყო ბიბლიოგრაფიების შედგენა კომპოზიტორებზე, მსახიობებზე, რეჟისორებზე. მან აქაც გამონახა კავშირი თავის საყვარელ საქმესთან. **"პავლე კანდელაკის ხელმძღვანელობით მოხდა ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოთეკისათვის ტომების გამოცემა, რომელიც უაღრესად ფასდაუდებელია ჩვენი ეროვნული კულტურის წინსვლისა და განვითარებისათვის"** – წერდა ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილი მუშაკი გრიგოლ ზაქარაია.

პავლე კანდელაკი 1968 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მალე 110 წელი შესრულდება პავლე კანდელაკის დაბადებიდან. უკვე ოთხ ათეულზე მეტი წელია ჩვენს გვერდით აღარ არის ქართული ხელოვნებისა და კულტურის დიდი ამაგდარი პავლე კანდელაკი, მაგრამ მისი სახელი დღესაც ახლობელია ქართული კულტურისათვის. მისი შრომა დაფასდა – იგი ახსოვთ მის მეგობრებს, ახლობლებს, ქართული კულტურის მესვეურებს – ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ამ პატიოსანი კაცის ღვაწლი და ამაგი.

უამრავ ადამიანს აღუნიშნავს პრესაში და ფუნდამენტურ ნაწარმოებებში პავლეს ღვაწლის თაობაზე და ყველა მათგანის კომენტირებას ერთი საგაზეთო გვერდი ნამდვილად არ ეყოფა. მაგრამ, ჩვენ მხოლოდ ერთი წერილის ნაწყვეტს დავიმოწმებთ, რომელიც ცნობილ ქართველ თეატრმცოდნეს ბატონ ვასილ კიკნაძეს ეკუთვნის:

"თეატრი ხომ გამორჩევით უყვარდა, მაინც ერთი საოცარი, ზოგჯერ ჩემთვის აუხსნელი თვისებაც ჰქონდა. რა საქმისათვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, სულ ერთი იყო, თეატრს ეხებოდა თუ სხვა სფეროს – ყველგან ერთნაირი გატაცებით, ახალგაზრდული ენთუზიაზმით იწყებდა მუშაობას. ეს "ერთნაირობა", ალბათ, ორგანიზატორული ნიჭის პროფესიული თვისება იყო (მე ასე ვფიქრობ). **მან მაღალ პროფესიულ დონეზე აიყვანა დირექტორის ფუნქცია, გაამდიდრა შემოქმედებითი თვისებებით. სხვისთვის სამსახური, ხელოვნებისადმი სამსახური გაიხადა თავის დიდ მისიად და ეს გარემოება ათკეცად ამაღლებდა მის მოქალაქეობრივ სახეს. პავლე კანდელაკის ხელი აჩნდა ყველა საქმეს. შრომა მისთვის ნამდვილი ბედნიერება იყო. შრომის სიხარულში ხედავდა ცხოვრების აზრს. რაღაც ზეიმურ ხასიათს აძლევდა ყოველ დღეს. ურთულეს სიტუაციაშიც კი პოულობდა ნათელ მხარეებს. აუგად ვერც ვერავინ შეჰბედავდა სიტყვას და არც სხვას ჰკადრებდა დაუმსახურებელს"...**

როლანდ ჯალაღანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

ბანმა მეტად ძნელის პირობების ასრულება მოსთხოვა ფიცის ახსნისათვის: იმ ოც და ათის ქცევის გარდა ოც და ათი ქცევა მიწა ზედმეტი მომეცი და თანამოფიცრეებმაც კარგი ძღვენი მომიტანონო. ვინ იცის რამდენი ჭირი მოსჭამა **ანმა**, დამიკელი რამეო, მაგრამ **ბანმა** ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა. მეტი გზა არ იყო, **ანს ბანს** პირობები უნდა შეესრულებინა, მაგრამ ძალა ის იყო, რომ მღვდელმა **ვინმა** და აზნაურმა **განმა** უთხრეს, არაფრის გულისათვის არ დაგიბრუნებთ ნაყიდ 15 ქცევა მიწისაო. ანი იძულებული შეიქმნა ამათთვის ახალი საჩივარი აეტანა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მღვდელმა და აზნაურმა ნაყიდი მიწა **ანს** უნდა ჩააბარონ, მხოლოდ ანმა ფული უკან უნდა დაუბრუნოს და იმის საღირალიც უნდა მისცეს, რაც შენობა დაუდგამს ან ბაღი გაუშენებიათო. მამული ამათ ნამდვილ პატრონისაგან კი არა, უკანონო მესაკუთრისაგან ჰქონდათ ნაყიდი და რუსული 10 წლის ხანგასულობაც ვერ იხსნიდა ამ მესაკუთრეთ, ამიტომ რომ, აქაურის ადათით, მამულზე ხანგასულობა მარტო 40 წლისა მიაჩნიათ.

ანი, რაც ერგებათ, ყველაფერს აძლევს, მამულს უკანვე იბრუნებს, მერე მიჰყავს თანამოფიცრები, ერთად მიდიან **ბანთან** და სრულიად აკმაყოფილებენ. ამის შემდეგ **ბანი,** სამეგრელოს ეკლესიის მიერ დადგენილის წესით, ფიცისაგან განათავისუფლებს მოფიცართა.

ამ პროცესში მონაწილეობის მიმღებთა შორის წაგებული არ არის მხოლოდ მოსმართლე, რომელიც ყველას გადასახადს ართმევს.

და ამას **სამართლობა** ერქვა!

რა თქმა უნდა, არც რუსული მოსამართლენი იყვნენ უნაკლონი, მაგრამ ამ ზომამდე მაინც არ მიაღწევდენ.

ოლქის უფროსს დიდი უფლება ჰქონდა. სხვათა შორის, მოვალე იყო მოსამართლეს საქმეები გაერჩია. მოვალე იყო მომჩივან-მოპასუხენი შეერიგებინა და, თუ ვინიცობაა, ამას ვერ მოახერხებდა, მხოლოდ მაშინ გადასცემდა საქმეს სასამართლოში, რომელსაც იმ დროს სამეგრელოს მართვა-გამგეობის საბჭო წარმოადგენდა, თუ ორივე მხარე ოლქის უფროსს მედიატორად ამოირჩევდა, რასაც ოლქის უფროსი გადასწყვეტდა, იმას უნდა დაჯერებულიყვნენ მომჩივან-მოპასუხენი, სხვისგან ჩივილი არ შეეძლოთ, და ამნაირად ბევრი საქმე რჩებოდა. მკითხველის ყურადღებას ამას იმ აზრით მივაქცევთ, რომ ეს ამბავი ხდებოდა 1857 წელს, ესე იგი იმაზე ბევრით ადრე, რაც მომრიგებელი სასამართლონი შემოიღეს შიდა გუბერნიებში.

მფლობელობის დარღვევის საქმეში ჩვენ ოთხის თვის ხანგასულობით ვხელმძღვანელობდით, და ამგვარი საქმეები აუარებელი გვქონდა გასარჩევად.

სისხლის სამართლო საქმეების გამო გამოძიების წესები მეგრელებისათვის ახალია ამბავი იყო და ისინი მალე მიხვდნენ, რა სრული იყო ჩვენი წინანდელი სამოსამართლო პროცედურა. ჩვენ მაშინ მხოლოდ ფორმალურად ვკითხავდით მოწმეებს და საბუთებს ასე ვაგროვებდით. თუ მოწმეები არ იქნებოდნენ, არც საბუთი გვექნებოდა და ბრალდებული იმას-და გაიძახოდა: **„არაფერი ვიციო“**, და ჩვენც ვეღარ ვამტყუნებდით.

მეგრელებს ეს ფორმალისტიკა არ მოეწონათ და თავისებური სახელი დაარქვეს: **„რუსული ატკაზი“,** ესე იგი, შენ მხოლოდ უარი სთქვი და ვერაფერს გიზამენო.

რუსული ფიცი, ჯვარსა და სახარებაზე, მათის ფიცის შემდეგ ძლიერის ხატების წინაშე, უძლურად ეჩვენათ და ამასაც თავისებური სახელი დაარქვეს: **„რუსიშ ფუჩი“**, რუსის ფიციო. რუსულად ტყუილად დაფიცებისა მანამდე არ შეშინებიათ, სანამ ცრუ ფიცისათვის სასჯელის სიმწარე არ იგემეს და არ სთქვეს, საფრთხილოა ასეთი საქმეო.

ამ სადაო და სისხლის სამართლის საქმეთა რიცხვი, მართალია დიდი იყო. მაგრამ უფრო ბევრი იყო წვრილმანი საქმეები, რომელნიც ოლქის უფროსს უნდა გაერჩია. აქაური ხალხი ცხარია, ადვილად იცის აპილპილება და მეტის-მეტად უყვარს ჩივილი და დავიდარაბა. ამ მხრივ მეგრელები საშინლადა ჰგვანან იტალიელებს. მეგრელებიც იტალიელებივით ძუნწები არიან, და იმათებრ დაჟინებით ცდილობენ თავიანთი ინტერესი დაიცვან და სასამართლოს კარები სთელონ. აპენინის ნახევარ-კუნძულის მცხოვრებთა ამ ეროვნულის თვისების წყალობითაა, რომ ასე შემუშავებულია რომის განთქმული სამოქალაქო სამართალი; მეგრელები განათლებით შორის არიან იტალიელებზე, მაგრამ, თავის დროზე, უეჭველია, იმათაც ეჯოლებათ გამოჩენილი ადვოკატები. ამბობენ, რომ ჯერ ახლაც სხვებზე უკეთესი ადვოკატები ქუთაისში მეგრელები არიანო.

ოლქის უფროსი იძულებული იყო დილიდან საღამომდე მთელი ეს დავიდარაბა ერჩია ხოლმე. ყოვლად მეუძლებელია კაცმა ჩამოსთვალოს ყველა სასიცოცხლო შემთხვევები. ზოგი მეზობელს ვალის გადაუხდელობას უჩივოდა, ზოგი წვრილმან რაღაცეების მოპარვას აბრალებდა მეორეს, მეორე ამბობდა, მავანმა ჩემის თუთის ფურცელი დაჭკრიფა ჩემ უნებურადო, ვაზები ამომითხარა ეზოდანაო; ცოლი ქმარს უჩივოდა, – მცემაო, ვინ მკითხავ-ექიმს ედავებოდა, – ფული წინდაწინ გამომართვა და ავადმყოფისაგან კი არ განმკურნაო, აზნაური გლეხს უჩივოდა, არ მემორჩილებაო, გლეხი – მებატონეს: მეტს გვახდევინებს, სულს გვართმევსო და სხვა და სხვა.

პირველყოფილი და მამათმთავრული ცხოვრება ყველაფერში იხატებოდა, ხალხი გულუბრყვილოდ მოდიოდა უფროსთან და თხოულობდა, უსამართლობისაგან დამიფარეო.

ზოგიერთი შემთხვევები მეტისმეტად დამახასიათებელნი იყვნენ, აი, თუნდაც ერთს მოვიტან, რომელიც ჯერ ისევ კარგათა მაქვს დამახსოვრებული.

ჩემთან შემოდის ასე ორმოცი წლის დედაკაცი. თან ხელით მოჰყავს მეორე ქალი ასე 17 წლისა, რომელიც უგულოდ მოჰყვება, ნაწყენი სახე აქვს და თვალები ძირს დაუხრია. ახალგაზრდა ქალი ძალიან ლამაზია. მათგან ათიოდ ნაბიჯზე მოსჩანს ახალგაზრდა, ლამაზი ყმაწვილი. ზოგიერთ წვრილმან ნიშნეულობით კაცი მიხვდება, რომ ესენი ურიები უნდა იყვნენ.

ხნიერი ქალი გაალმასებული, შემდეგს მეუბნება.

„ქალი მივათხოვე, – და სწორეთ ესაა, ხელი რომ უჭირავს, – აი ამას, უკან რო სდგას. და მერე იცით, რა ყოფილა? არაფერი შესძლებია და ქალი შემირცხვინა.

„ჩვენის, ურიების, ჩვეულებით ქორწილის მეორე დილასვე უნდა მიმეღო, როგორც დედას, ჩემის ქალის პერანგი, მერე ყველა ჩემ ნათესავებისა და მეზობლებისათვის უნდა მეჩვენებინა და მათს წინაშე სირცხვილი არ მეჭამნა. როცა ჩემს სიძესთან მიველ და პერანგი მოვსთხოვე... ფუი. უი!.. მცვედანი გამომდგარა... ფუი, ფუი, ფუი!

„რა თქმა უნდა, ასეთ შერცხვენის შემდეგ ჩემი ქალი ჩემს სახლში წამოვიყვანე, სიძეს კი თვალებში ჩავაფურთხეი და გამოვუცხადე, ახლავე გაეყარე ჩემს ქალს, შე ცვედანო-მეთქი!..

„არ იკითხავთ, რა მიყო ამ უსინდისომ! გაყრა არ უნდა და ძალით უნდა წაიყვანოს ჩემი ქალი.“

ამ საჩოთირო შემთხვევის გასარჩევად გამოვაძახებინე ებრაელთა ხახამისათვის, რომელიც იქვე ცხოვრობდა სოფელში.

ხახამს მეტად პატივცემული და კეთილშობილი სახე აქვს, ერთნაირად პატივსა სცემენ როგორც მისი ერთმორწმუნენი, ისე ქრისტიანებიც. როცა მოისმინა დედის მოთხოვნა გაყრის შესახებ, აგვიხსნა, რომ ასეთ შემთხვევაში გაყრა შეუძლია, და მეორე რჯულის წიგნის თანახმად, მოითხოვოს ცოლმა დაქორწინებიდან ექვსი თვის შემდეგ, მანამდე კი თავის ქმრის სახლში უნდა დარჩეს და არავის აქვს უფლება იქიდან გამოიყვანოსო.

ასეთი განმარტების შემდეგ ორსავე ქალს ვუთხარი ცოტა განზე გამდგარიყვნენ და, დავუძახეთ ახალგაზრდა კაცს.

ყმაწვილი დარცხვენილია, თვალები ძირს დაუხრია:

„ჩემს ცოლს არ გავუშვებ. მართალია, ჩემ-და საუბედუროდ ვერ შევასრულე ჩვენი ჩვეულება და მეორე დილას სიდედრს პერანგი ვერ გადავეცი, მაგრამ ეს თვითონ სიდედრის ბრალი გახლავსთ. მთელი ღამე იმ სახლთან იყო ატუზული, სადაც მე და ჩემი ცოლი ვიყავით, ერთი წუთითაც არ მოგვასვენა, რომ მარტო დავრჩენილიყავით და სულ პერანგს თხოულობდა; რო გათენდა სახლში შემოიჭრა და თავისი ქალი მოიტაცა“.

დავადგინეთ: ცოლი ებრაელისათვის ჩაგვებარებინა, ხოლო სიდედრს გამოვუცხადეთ – არ გაებედნა ქალის წაყვანა სიძის სახლიდან. ცოლს შეუძლია, თუ საჭირო იქნება, ქმარს გაშვება მოსთხოვოს მხოლოდ ექვს თვეს შემდეგო.

ებრაელმა თავის ახალგაზრდა ცოლს ხელი მოჰკიდა და ამ დროს სიდედრმან ერთი თქვენი მოწონებული სილა გააწნა. იასაულები ჩაერივნენ და დაუშალეს დედაკაცს მეტი არ დაერტყა სიძისათვის, და ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მიდიან. დედაკაცი გაკაპასდა და იასაულებს პირში სწვდა. ამათ ებრძანათ დაეჭირნათ დედაკაცი და ცალკე ოთახში დაემწყვდიათ. ქალი გაიყვანეს.

მაშინ ოლქის უფროსთან შემოდის ხახამი და ნებართვას თხოულობს მივიდეს ებრაელ დედაკაცთან – დაარიგოს და დაამშვიდოს. რა თქმა უნდა, ეს ნება დართეს; მაგრამ ზღურბლზე ფეხი გადააბიჯა თუ არა, უკანვე გამოხტა: გაანჩხლებულ დედაკაცს ერთი ბღუჯა ბალანი გამოუგლეჯია წვერიდან, რისთვისაც ბრძანება გაიცა ქალი მეორე დღემდე გაეჩერებინათ.

მეორე დღეს, დილით, ჩვეულებრივ 7 საათზე ავდექი, გამოველი აივანზე და მის გვერდით დავინახე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ებრაელები. მოწიწებით მომესალმნენ და მთხოვეს მათგან მიმეღო ძღვენი, რომელიც შესდგებოდა ერთი კალათა ყურძნისა, ხილისა და ერთ ქათმისაგან. ამასთანავე მთხოვეს გამომეშვა მათი დედა: გაყრა ახლა საჭირო არ არის და საქორწილო პერანგსაც ჩავაბარებთო.

მთლად გახარებული ცოლ-ქმარი დედასთან მივგზავნე; იქვე დავიბარე ხახამი; მოხდა საერთო შერიგება და შემდეგ ყველანი თავთავიანთ სახლებში წავიდნენ.

ებრაელთა ქალბატონი სრულიად კმაყოფილი. და ახლა შეუძლია თვალები გაუსწოროს სხვა ყველა ქალბატონებს, თავისს მეზობლებს: ყველამ იცის, რომ თავის ქალის სახელი არ შეარცხვინა.

ამ დამახასიათებელ შემთხვევისაგან შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა უშუალობით, თუ რა პირდაპირობით ეკიდებიან სასამართლოს ის ადამიანები, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან გამოსულნი თავის პირველყოფილ მდგომარეობიდან. მოსამართლე მათთვის უბრალო კაცი კი არ არის, და მით უფრო მოხელე; მოსამართლე მათთვის მატარებელია წმინდა სამართლიანობისა და მას გასარჩევად მიანდობენ მეტის-მეტად საიდუმლო, მეტისმეტად ინტიმურ გაუგებრობასაც-კი.

ასეთ ეთნოგრაფიულ სხვადასხვაობასა და პირობებში რუსის ადმინისტრაციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ახალ ადგილებში, რომელთაც რუსეთი აღმოსავლეთის ქვეყნებში იძენს. ასეთს ადგილებში მთავრობამ ისეთი ადმინისტრატორები უნდა დანიშნოს, რომელთაც ალაგობრივი ენა იციან, უმაღლესი იურიდიული სწავლა-განათლება აქვთ მიღებული და ადგილობრივ მკვიდრთა ზნე-ხასიათი გაცნობილი აქვთ. ადმინისტრატორად თუ რუსია, აქაურებს ძალიან მოსწონთ, რუსი ყველაზე პირუთვნელ კაცად მიაჩნიათ. მაგრამ თუ გვინდა, რომ რუსები აქეთ წამოვიდნენ მოხელეებად, საჭიროა ოლქისა და მაზრის უფროსებს კარგი ჯამაგირი ჰქონდეთ დანიშნული და იმდენად სახარბიელო უნდა იყვეს მათთვის აქ სამსახური, რომ სხვა სამსახურში არა ცდილობდენ გადასვლას, და პენსია დაიმსახურონ ხოლმე. თანაც, მათი პენსია მთელს ჯამაგირს უნდა უდრიდეს.

ასეთი იყო აქაურის მართვა-გამგეობის წესების გეგმა, რომელიც შეიმუშავა 1842 წელს კავკასიის შესანიშნავმა, ვიმეორებთ, სახელმწიფო კაცმა, ბარონმა განმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გზით დიდს ხანს არ ვიარეთ, გაგვიტაცა ახალმოდურმა, ლიბერალურმა აზრებმა და ბევრი რამ გადავაკეთეთ თვით საქმის საზიანოდ.

ჩვენის მოგონების შემდეგსა და უკანასკნელს თავში მკითხველს მოვუთხრობთ მოკლე მატიანეს იმისას, თუ როგორ ვმართავდით სამეგრელოს პირველ წლებში.

პირველი წლები რუსის მართვა-გამგეობისა

ქრისტეშობისათვის დასაწყისში სოხუმს მოსვლა ქუთაისის ახლა გენერალ-გუბერნატორის გ. რ. ერისთავისა, – დაჭერა მეამბოხეთა მეთაურებისა, – მართალ თოდუას დამალვა მის მეზობლების მიერ, – მოსვლა მთავრის მზრუნველის დ. ი. ყიფიანისა, მისი მოკლე ბიოგრაფია, – ამბოხება სოფ. ნახუნუში, – ეკზეკუცია, – აჯანყების მოთავეთა დაჭერა, – დებულების შედგენა, – რუსეთში გადასახლება სამეგრელოს აჯაყების ხელმძღვანელთა, – შიმშილობა. – მზრუნველის აღნუსხვა მთავრის მამულებისა. – ფრანგების რკინის-გზის მკეთებელ კომპანიის აგენტების მოსვლა. – ნ. .პ. კოლუბიაკინი ერევანში გადაიყვანეს გუბერნატორად და მის მაგიერ დანიშნეს მისი ძმა მიხეილი. – ძმათა კოლუბიაკინთა თვისება და მათი შედარება კავკასიის სხვა ადმინისტრატორებთან. – ორპირი. – გეგიძე. – პირველი ორთქმავალი ხომალდი რიონზე. – კამერალური აღწერა. – დიდთა მთავართა ნიკოლოზ და მიხეილ ნიკოლოზის ძეთა მოსვლა – როგორ მიეგება მათ ფოთში გურიის თავად-აზნაურობა. – მთავრის მამულების გამო შემდგარი საქმე.– დღესასწაული ზუგდიდში. – დ. ყიფიანის მოსვლა და მისი უთანხმოება კოლუბიაკინთან. – ყიფიანი ბარიატინსკის მოხსენებას აძლევს მთავრის მამულების შესახებ. – კოლუბიაკინის გახმობა ტფილისში.– ბარიატინსკი ყიფიანს უარს ეუბნება და ეს უკანასკნელი პეტერბურგში მიდის. – სვანეთის შემოერთება.– ჩემი გადასვლა ტფილისის გუბერნიაში. – მ. კოლუბიაკის გადმოყვანა ტფილისში. – მის მაგივრად სამეგრელოში ჭილაშვილსა ნიშნავენ. – თ. ბარიატინსკის წასვლა საზღვარ-გარეთ. – საზღვარ-გარეთის გაზეთში დაბეჭდილი წერილი სამეგრელოს საქმეთა გამო. – ყიფიანის დაბრუნება პეტერბურგიდან. – მისი მოკლე ხნის გამარჯვება. – დრეზდენში გაგზავნა სამეგრელოს ყველა საქმეებისა. – ბარიატინსკის წერილი, ხელმწიფესთან მიწერილი. – ბუტკოვის მისვლა დრეზდენში. – ახლად გადაწყვეტა სამეგრელოს საქმეებისა. – დ. ყიფიანის დათხოვნა სამსახურიდან. – დასკვნა.

გილოცავთ ახალ წელს!

ახალი წელი ძველი უბედურებებით

არ გვინდა საახალწლოდ გუნებაგანწყობა გაგიფუჭოთ, მაგრამ არის დანაშაული, რომლის დავიწყება არასოდეს შეიძლება. ამიტომ გთავაზობთ ამ საგაზეთო წერილს, რათა, კიდევ ერთხელ გავიაზროთ, თუ ვინ როგორ ხვდება ახალ წელს და თანაგრძნობა გამოვუცხადოთ ადამიანებს, რომელთაც ნამდვილად არ ედღესასწაულებათ

საქართველოში სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტებმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია

იური ვაზაგაშვილი

მხოლოდ მაშინ გავჩუმდები, როცა ჩემი შვილივით მეც ჩამცხრილავენ

სოსო რობაქიძე

ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილ-მერაბიშვილის ხროვა დასასჯელია და თუ ამას არ იზამს, ის მიშა მეორე იქნება

ჯამბულ გამცემლიძე:

უდანაშაულო შვილი არაფრის გამო მომიკლეს და ეს ვაპატიო სააკაშვილს?!

ქვეყანაში სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის აღდგენის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მიზნობრივი ჯგუფების „ერთიანი ფრონტი“ შეიქმნა. ფრონტში გაერთიანებულია საზოგადოებრივი მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლე“, არაასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“, ჟურნალისტთა გაერთიანება „ობიექტივი“, ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი, ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირები და სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფები, რომლების წევრთა უმრავლესობას მუხროვანის ამბოხში ბრალდებულთა ოჯახის წევრები და სხვები წარმოადგენენ.

გაერთიანების ძირითადი არსი გახმაურებული მკვლელობების ობიექტურ გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯას წარმოადგენს. მკვლელებმა, ვინც უნდა იყოს ის, კანონის უზენაესობის წინაშე პასუხი უნდა აგონ,– ასე ფიქრობენ ერთიანი ფრონტის წარმომადგენლები. გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, გამცემლიძის მკვლელობებში ლომის წილი ქართველ სამართალდამცველებს მიუძღვით. **ეს ის მცირედი ჩამონათვალია, რომელთა შესახებ საზოგადოებამ მეტ-ნაკლებად იცის. სამწუხაროდ, დახოცილთა რაოდენობა ამ მწირი ჩამონათვალით არ შეიზღუდება.**

„გადაარჩინე სიცოცხლის“ წარმომადგენელთა აქტიურობით ბევრ უსამართლობას აეხადა ფარდა. როგორ წარმოუდგენლადაც უნდა მოგვეჩვენოს, სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტებმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ჩვენს ხელთ არსებული არასრულყოფილი სიით ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მიერ სიცოცხლის მოსპობის ფაქტმა 80-ს გადააჭარბა. ყველა ეს მკვლელობა ბურუსით იყო მოცული. დაღუპულთა ოჯახები ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ, მაგრამ დღეს ისინი ერთად დგანან და ცდილობენ, სამართალიც ერთიანი ძალით იპოვონ. **„ჩვენ არ გავჩერდებით“, „უსამართლობის წინაშე სამართლიანად ვიბრძოლებთ“**,– ამბობენ შვილმკვდარი ოჯახები.

ჩვენ დაღუპულთა ოჯახებსა და მათი **„ერთიანი ფრონტის“** წარმომადგენლობას დავუკავშირდით. სამართალი მათთვის დღემდე სამართლიანად არ აწონილა. ფარ-ხმალს მაინც არ ყრიან და მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას მიმართავენ. **მათი ცხოვრების მთავარი არსი შვილების წინაშე ვალის მოხდაა. ამიტომაც მზად არიან, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოლონ სიმართლის დასადგენად და შურის საძიებლად**; შურისძიება – არა პირადი ანგარიშსწორებით, არამედ – კანონის უზენაესობის აღსრულებით. **მართლმადიდებლური მორალი არ აძლევთ საშუალებას, მათი შვილების მკვლელი სიკვდილითვე დასაჯონ.**

იური ვაზაგაშვილი (კორტებთან ჩაცხრილული ზურა ვაზაგაშვილის მამა):

– დიდი ხანია, გაუბედურებულმა ოჯახებმა დავაარსეთ არასამთავრობო ორგანიზაცია **„გადაარჩინე სიცოცხლე!“** ამით დარჩენილი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე გვინდა, გადავარჩინოთ სხვისი შვილების სიცოცხლე, თორემ ჩვენსას რომ არაფერი ეშველება, ისედაც ცხადია. მშობლები ჩვენი შვილების სულების წინაშე ვალში ვართ და მჯერა, რომ თუ ამ უსამართლობის წინაშე სამართლიანად ვიბრძოლებ, რომ იმქვეყნად ზურას თვალებში პირნათლად ჩავხედო. საუბედუროდ, დღეს ამასაც მისპობენ. უკვე დაიწყო ქართული ეკლესიის ღია დაპირისპირება და შეურაცხყოფა. ამით ისინი რწმენას დაუპირისპირდნენ. გაუბედურებული ოჯახები შვებას და ხსნას ეკლესიაში ვპოულობთ, იქაც კი ცდილობენ, საზოგადოებას ბზარი გაუჩინონ, ეკლესია ბინძურიაო.

გვერდით გვედგნენ და ახლაც მხარს გვიბამენ ადვოკატთა პროფკავშირები. ისინი უანგაროდ ემსახურებიან გაუბედურებულ ოჯახებს. ნელ-ნელა მოდის საზოგადოებაც. შემოგვიერთდნენ მუხროვანის ამბოხებაში ბრალდებულთა ოჯახები, პოლიტპატიმართა ოჯახები, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია **„ჩვენი უფლებებისათვის“**, მოძრაობა **„7 ნოემბერი“**, სამხედრო ექსპერტები და ა.შ. მათ არავითარი ამბიცია არ აქვთ, გარდა ერთისა – ყველას სურს, ქვეყანაში აღდგეს სამართლიანობა, ამ უსამართლობას არ შეეგუებით! ერთი რამ ცხადია, არავითარი შანტაჟი და შიში ჩვენ არ შეგვაშინებს. პირადად ჩემს ოჯახზე მეცხრამეტე დღიდან დაიწყო ზეწოლა, ოჯახურ ბიზნესსაც კი შეეხნენ, მაგრამ მაინც ვერ გამაჩუმეს. გულწრფელად გეტყვით, რომ **ზურას შემდეგ ჩემთვის არანაირ ქონებას და სიმდიდრეს აზრი არ აქვს**. ჩვენი ოჯახისთვის ყველაფერი გაუფასურდა. მანქანა, რომელშიც შვილი ჩამიცხრილეს, ნივთმტკიცების სახით დღემდე იქ ჰყავთ, ხომ მორჩა საქმე, საინტერესოა, რატომ არ მიბრუნებენ? ჯერ ერთი, ომ საშინელებას რა შემახედებს, მაგრამ მანქანას ალტერნატიული ექსპერტიზის გამო ვითხოვ. ზურა კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა მომიკლეს. ერთ-ერთი მკვლელთაგანი – ოთარ მირზოევი, დააწინაურეს. შემიძლია დოკუმენტური მასალებით გაჩვენოთ, როგორ მონაწილეობდა მირზოევი სისხლიან ოპერაციაში. არაერთხელ ეცადნენ ჩემს დაშინებას, მაგრამ – ამაოდ. როგორც ჩანს, უკვე დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ მაშინ გავჩუმდები, როცა ჩემი შვილივით მეც ჩამცხრილავენ. სხვა მხრივ, ჩემი გაჩუმება და გაჩერება არ იქნება. ჩემ გვერდით ჩემსავით ბევრი გაუბედურებული ოჯახია. ყველა მათგანი კარდაკარ შემოვიარე, ჩავიწერე, რაც მასალები ჰქონდათ, გადავიღე. გაკეთდა ფილმი, გავაკარით პლაკატები. საზოგადოებას ვაცნობეთ აჟარელი და ქუთაისელი ბიჭების დახოცვის ამბავი. ეს არის ჩვენი ბრძოლა! ვცდილობთ, ფარდა ავხადოთ სამართალდამცველთა მხრიდან განხორციელებულ არაერთ უმსგავსობას. საზოგადოებამ ეს არ იცის, მაგრამ ჩვენი დახმარებით გაიგებს. **ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ვანო მერაბიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს ჰყავთ გარკვეული ბანდები პოლიციაში, რომლებსაც ყოველგვარ სიბინძურეს ასრულებინებენ და სისასტიკითა და ბოროტებით აუბედურებენ უდანაშაულოთა ოჯახებს**, კლავენ უდანაშაულოებს და ამით შიშს თესავენ. ბუტა რობაქიძე ქუჩაში იმიტომ დახვრიტეს, რომ ხალხი მიზანმიმართულად დაეშინებინათ. ზურას შემთხვევა განზრახ მკვლელობა იყო. ნავთლუღის ბიჭები ციხის ბუნტის წინ ამოხოცეს იმ მიზეზით, თითქოს ციხიდან გაქცევის ორგანიზატორები იყვნენ. სამივე ბიჭი ერთ-ერთის მამასთან ერთად თურქეთში ფიზიკურად მუშაობდა და ხელები დაკოურილი ჰქონდათ. ისინი საახალწლოდ ჩამოვიდნენ. **შვილის მოკვლით ყველაფერი წამართვეს, სიცოცხლე არ მინდა!** ეკონომიკური მდგომარეობა არ მაინტერესებს. გამაუბედურეს, საშინელ მდგომარეობაში ჩამაგდეს და გავჩერდე?! **ვიღაც გარეწარმა ჩემს შვილს სიცოცხლე მოუსპო და ამით ჩვენც, მშობლებიც დაგვხოცა.** ყველა დაღუპულის უკან ხომ დგას ოჯახი და ხალხი. ჩვენ ზურასთან ერთად დავასრულეთ სიცოცხლე! ბოლომდე ვიბრძოლებ და სიმართლეს მაინც გავიტან. მერწმუნეთ, იმდენი მტკიცებულება გვაქვს, კუთხეში მოვიმწყვდევთ ნებისმიერ პროკურორსა და მოსამართლეს. ამიტომაც შეწყვიტეს ძიება. მე კი განვაგრძობ: ევროპის სასამართლოში გავასაჩივრე და ბოლოს აღვნიშნე, „თხოვნით მოგმართავთ“ – არანაირ კომპენსაციას არ ვსაჭიროებ.

რაც შეეხება შურისძიების მომენტს, ამ ეტაპზე გვინდა, მკვლელები საპატიმრო სკამზე დავსვათ. მთავარია, საზოგადოებამ **მკვლელები უნდა მოიცილოს, მათ გვერდზე ცხოვრება შეუძლებელია.** ერთიანად უნდა ვებრძოლოთ ამ ტირანიას და უსამართლობას. წავა ეს ხელისუფლება და მყავს პოლიციელები, რომლებიც მპირდებიან თავის დროზე სიმართლის თქმას.

სოსო რობაქიძე (პატრულის მიერ მოკლული ამირან რობაქიძის მამა):

– სანამ სააკაშვილი პრეზიდენტია, ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. ეს ვიცით, მაგრამ მაინც არ გავჩერდებით! მათრახი ყოველთვის ხელში უნდა გვეჭიროს. ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილ-მერაბიშვილის ხროვა დასასჯელია და თუ ამას არ იზამს, ის მიშა მეორე იქნება. **„ერთიანი ფრონტი“** ბევრ ძალას აერთიანებს. **თუ ახლანდელ შანსს არ გამოიყენებს ხელისუფლება და დამნაშავეებს, მკვლელებს შესაფერისად არ დასჯის, სერიოზულ, ფართომასშტაბიან აქციებს დავიწყებთ**. თავის დროზე შურისძიების მომენტი ხელიდან გავუშვით, და ეს მაშინ, როცა სამართლიანობაზე დავიწყე საუბარი. ჩემი მხრიდან ეს უკვე დაგვიანებულია. ახლა გვინდა, სამართალმა იზეიმოს.

მანქანის დიდი სიჩქარით მართვას შეეწირა 31 წლის ახალგაზრდის, გიორგი გამცემლიძის სიცოცხლე. მას სამი მცირეწლოვანი შვილი და მეუღლე დარჩა. გარდაცვლილის მამა ჯამბულ გამცემლიძე დღემდე ითხოვს შვილის მკვლელის კანონიერ გასამართლებას, თუმცა – უშედეგოდ. როგორი დაუჯერებელიც უნდა იყოს, პატრულის თანამშრომელს, გიორგის მკვლელ ვახტანგ გაბუაშვილს ორი წელი მიუსაჯეს.

ჯამბულ გამცემლიძე (გიორგი გამცემლიძის მამა):

– ჩემი შვილი არაფრის გამო მოკლეს. გიორგის მანქანის სწრაფად ტარება უყვარდა, ამის გამო სიკვდილით დამისაჯეს. გამწარებული ვარ. ჩემი უდანაშაულო შვილის მკვლელს მხოლოდ ორი წელი მიუსაჯეს.

გიორგი წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა. რომ არ ყოფილიყო სააკაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი, ჩვენი შვილები ცოცხლები იქნებოდნენ. პროკურატურასთან ჩავატარეთ აქცია და მხოლოდ ორმოცამდე ადამიანი გამოცხადდა. **ეს სირცხვილია. ყველას სახლის წინაა დაჩოქილი სიკვდილის ქურქში გახვეული აქლემი და არავინ იცის, შემდეგ ვის კარზე დააკაკუნებს.** გაიხსენეთ, პატარა ბიჭუნას მკვლელობის გამო მთელი საბერძნეთი და საფრანგეთი პროტესტის ნიშნად გარეთ გამოვიდა. ჩვენ ულამაზესი ბიჭები, ერის ჯანსაღი გენოფონდი მხეცურად დაგვიხვრიტეს და ეს არავის ადარდებს. **მოვიპოვეთ ქუჩაში დახვრეტილი 70-ზე მეტი ახალგაზრდის მონაცემები** და თუ ამაზე თუ ჩვენმა საზოგადოებამ ხმა არ ამოიღო, ერის სირცხვილი იქნება. შურისძიების განცდა არანაირად არ მაქვს, რადგან ჭეშმარიტი ქრისტიანი ვარ, მუდამ დავდივარ ეკლესიაში და ვეზიარები, მაგრამ შვილის მკვლელთან შეხვედრას არ ვინატრებდი. ვერ გეტყვით, რას მოვიმოქმედებ მხეცთან შეხვედრისას. ვფიქრობ, რომ დღეს შეურაცხყოფილი და შერცხვენილი ვარ. ხელისუფლებამ მომაფურთხა, დამცინა ღირსება ამყარა, დამამცირა, გამაუბედურა. მიხეილ სააკაშვილი პირზე დორბლმომდგარი გაჰყვიროდა მაღალი ტრიბუნიდან – ნულოვანი ტოლერანტობაო. რა ჰქონდა ჩემს შვილს არაკაცებისაგან მისატევებელი?! ანგელოზივით ბიჭი დადიოდა, ჭიანჭველას ფეხს არ ადგამდა და სრულიად უსამართლოდ, უსაფუძვლოდ, ცინიკურად მოუსპეს სიცოცხლე. დამნაშავე აღიარებს, რომ მოკლა გიორგი გამცემლიძე, მაგრამ თურმე უნებლიეთ გაუვარდა იარაღი და მხოლოდ ორი წელი მიუსაჯეს. პატრულმა რატომ არ გააკეთა ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა?! მოკლეს შენობის გარეთ, შეათრიეს შიგნით და ათასი უბედურება ჩაიდინეს. თვითმხილველი კი ჩვენებიდან ამოაგდეს. სამწუხაროდ, ბევრია ჩემნაირად უბედურ დღეში. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი სიმართლე გავიტანოთ. ვითხოვ ობიექტურობას. არსებული მასალების ფონზე, სამართლიანი განაჩენით, მკვლელს, სულ ცოტა, თხუთმეტი წელი მაინც უნდა მიუსაჯონ. ეს არის განზრახ მკვლელობა. გამოეკიდა შვილს, დაეწია, ესროლა, მოკლა... უდანაშაულოდ... და ეს ვაპატიო სააკაშვილს?!

ესაუბრა ირმა ჩიტაია

P.S. სამწუხაროდ, ვერ ვაქვეყნებთ პოლიციელთა მიერ მხეცურად მოკლული სანდრო გირგვლიანის გულშემატკივრის გამოსარჩლებას, რადგან მისი დედა ირინე ენუქიძე და ბაბუა – ჯიმშერ ენუქიძე დარდს გადაჰყვნენ და სამარეში ჩაიტანეს შვილის სიკვდილით მოძალებული დარდი. ახლა, მხოლოდ იმის იმედად ვიმყოფებით, რომ მათ მაგივრად მხოლოდ სანდროს მამა და მაღალი ღმერთი აღასრულებენ სამართალს და ღირსეულ სასჯელს მიუზღავენ როგორც მკვლელობის აღმსრულებლებს, ასევე შემკვეთებსაც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავთ ახალ წელს!

საახალწლო სახალისო გვერდი

ვინ აჭარებს სამთავრობო სხდომას ევერესტზე?

ამას წინათ მსოფლიოს ტელეარხებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ნეპალის მინისტრთა კაბინეტი, რომელიც 23 წევრისგან შედგება, 3 დეკემბერს 2800 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ქალაქ ლუკლაში შეიკრიბა. 4 დეკემბერს მინისტრები ვერტმფრენით გაფრინდნენ ზღვის დონიდან 5250 მეტრზე მდებარე კალაპატარში, სადაც მორიგი სამთავრობო სხდომა ჩაატარეს.

ნეპალელ მინისტრთა ამგვარი თავგანწირვა კოპენჰაგენის ეკოლოგიურ კონფერენციას მიეძღვნა და ჰიმალაის დნობადი მყინვარებისადმი მსოფლიო საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ისახავდა მიზნად. მეცნიერების აზრით, ამ მყინვარების დნობა მთის ფერდობებზე შეფენილი დასახლებული პუნქტების დატბორვასა და ჩაძირვასაც კი გამოიწვევს.

ნეპალის მთავრობის უჩვეულო სხდომა მალდივის მინისტრთა კაბინეტის ინიციატივის გაგრძელებაა. ამ უკანასკნელებმა 2009 წლის 17 ოქტომბერს სამთავრობო სხდომა წყალქვეშ გამართეს, ამ აქციის შემდეგ კი თავიანთი წყალქვეშა კოსტიუმები საქველმოქმედო აუქციონზე გაყიდეს.

განა, ამის ფონზე, გასაკვირია, რომ სააკაშვილის აღმა-დაღმა დაარბენინებს მინისტრებს და ხან რაჭის თოვლიანი მთების ფონზე ატარებს სამთავრობო სხდომას, ხან კიდევ კახეთის ერთ-ერთ ტბაში მოცურავე ბატების ფონზე, რომელიც ზოგიერთ ბატ-მინისტრს გედი ჰგონია. რაც შეეხება ევერესტზე სხდომის ჩატარებას, რეკორდებს დახარბებულს მიხეილ სააკაშვილს აქ მთავრობის შემცირებული შემადგენლობით მოუწევს ამ ღონისძიების ჩატარება, რადგან მსოფლიოს უმაღლეს გაუხშოებულჟანგბადიან მწვერვალ ევერესტზე მხოლოდ ყოფილი ალპინისტი გია თორთლაძეა ნამყოფი. სააკაშვილის სხვა მინისტრები კი უჰაერობას ისევე ვერ აიტანენ, როგორც უფულობას.

ამიტომაც ფიქრობს ალბათ მიხეილ სააკაშვილი, რომ აუცილებელია მისი უერთგულესი და მხურვალე მხარდამჭერი **"ოპოზიციონერი"** გია თორთლაძე რომელიმე სამინისტროს თავკაცად გაამწესოს!



რედაქცია

წლის ჩლუნგების გამოსავლენად

ვინ არის ყველაზე ჩლუნგი?

ბრიტანეთში ტელე და რადიოვიქტორინების ყველაზე სულელი მონაწილეების ათეული გამოაქვეყნეს. ათეული შედგა ახლახან გამოსული კრებულის **„ჩლუნგი ბრიტანეთი"** მეორე ტომის მიხედვით.

ათეულში მოხვდა BBC-ის ისტორიული რადიოვიქტორინის **„Radio Merseyside"**-ს მონაწილე, რომელმა კითხვაზე, რა ერქვა ჰიტლერს, უპასუხა **ჰაილი**. პოლიტიკური ვიქტორინის მონაწილემ, რომელსაც ჰკითხეს, ვინ იყო პრემიერი ტონი ბლერის წინ, უპასუხა **ჯორჯ ბუში**. ტელევიქტორინაში ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ ძველი რომაელების ძირითადი ენა ბერძნული იყო.

„ჩლუნგი ბრიტანეთის" პირველი ტომი 2009 წლის გაზაფხულზე გამოვიდა და მასშიც მსგავსი შემთხვევებია ჩამოთვლილი. მაგალითად, კრებულის ერთ-ერთი **„გმირი"** ამბობს, რომ ეგვიპტისა და ისრაელის **ექვსდღიანი ომი ორ კვირას გაგრძელდა**, მეორე კი კითხვაზე, **ევროპის რომელ ქვეყანაშია** ვულკანი **ეტნა**, პასუხობს – **იაპონიაში**. ამ უკანასკნელს ვიქტორინის წამყვანმა შეახსენა, რომ საუბარი მხოლოდ ევროპის ქვეყნებს ეხებოდა. მანაც შეასწორა პასუხი და თავდაჯერებით განაცხადა – **მექსიკა**.

P.S. საქართველოში რომ მსგავსი კონკურსი ჩატარდეს, ეჭვი არავის შეეპაროს, რომ გამარჯვებული ტელეარხ "რუსთავი-2"-ის კოლექტივი გახდება, სადაც თვალშისაცემია ვიღაც ვარაზაშვილ-მარაზმაშვილების სიჩლუნგე. არაფერს ვამბობთ თვით არხის მიერ მომზადებულ შინაარსობრივად აშკარად ჩლუნგ გადაცემებზე, რომელსაც ენის ბორძიკით, სიტყვების ღეჭვითა და უკანალის სიფართის მქონე სახის მანჭვით გვაცნობენ ჩლუნგი ტელეწამყვანები...

ამერიკანიზაცია – საით მიექანები, უბედურო საქართველოვ?!

ევროსასამართლოს ანტიქრისტიანულად განწყობილმა მოსამართლეებმა სკოლებში ქრისტიანობის სიმბოლო აკრძალეს

წყეულიმც იყოს მაწყევარი შენი, კურთხეულ იყოს მაკურთხებელი შენი. (დაბადება, 27,29)

სტრასბურგის სასამართლომ ქრისტეს ჯვარცმიანი ჯვრების სკოლებიდან გამოტანის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება.

ქრისტიანობის წინააღმდეგ მსოფლიოში აგორებული ტალღის, ქრისტეს რჯულის აღმსარებელთა წინააღმდეგ ახალი შეტევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლენად იქცა მაცხოვრის ფეხის მკვნეტელთა ეს ამორალური განაჩენი.

ერთ-ერთ გამოვლენად და არა ერთადერთად, მით უფრო, არა პირველ ფაქტად, რადგან უფრო ადრე საქართველოში პროვინციული თავგამოდებითა და მაქსიმალიზმით, მძორთა სიმყრალით დაიწყეს ხელისუფლებაში შემძვრალმა იეღოველებმა და სხვა მახინჯებმა მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო კამპანია, დაიწყეს პატრიარქზე მასშტაბური შეტევით. ეს უბედურება ამათი მოგონილი რომ არ იყო, იმთავითვე ჩანდა: დამოუკიდებლად ნაბიჯის გადამდგმელნი რომ არ არიან ეს კატის ნათრევნი, ცნობილია. ხოლო, რაც ცნობილი იყო, ადამიანის უფლებათა დამცველი ევროპული სასამართლოს განაჩენით დამტკიცდა, რითაც წაიბილწა კეთილშობილური დემოკრატიის არსი, რომელიც მის სახელწოდებაშია ნაგულისხმევი: ევროკავშირის სტრუქტურები შეუდგნენ იმ ევროპელთა დისკრიმინაციას, ვინც ჯერ კიდევ შეინარჩუნა მამა-პაპათა რელიგიის ერთგულება – ქრისტიანობის ერთგულება.

მიზეზს ელოდნენ, პროვოკაციისთვის ბიძგის მიმცემს და აჰა, იტალიის მოქალაქემ, წარმოშობით ფინელმა ქალბატონმა სოილე ლაუტსიმ ქალაქ აბანოს სახელმწიფო სკოლის ადმინისტრაციას საჩივრით მიმართა – კლასებიდან გაეტანათ ჯვარცმის გამოსახულება. ქალბატონ სოილეს ორი ქალიშვილი ამ სკოლაში სწავლობდა.

ამ უღვთო ქალმა ჯერ იტალიის სასამართლოები მოიარა, შემდეგ ევროსასამართლოს მიმართა.

სტრასბურგის სასამართლოს ვერდიქტით ჯვარცმის სიმბოლიკის კლასებში არსებობა „მოსწავლეთა რელიგიურ თავისუფლებათა" დარღვევადაა მიჩნეული, რის გამოც იტალიის მთავრობას „მორალური ზარალის" ასანაზღაურებლად 5 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა. განაჩენმა, რომელიც ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნისთვის სავალდებულოა, განსაკუთრებით იტალია და მისი ხელისუფლება აღაშფოთა: იტალიის მთავრობა აპირებს, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან იგი არა მარტო შეურაცხყოფს მილიონობით იტალიელის რელიგიურ რწმენას, არამედ ხელყოფს სახელმწიფოს სუვერენიტეტს.

მთავრობის სხდომაზე, სადაც ეს სკანდალური განაჩენი განიხილეს, საქვეყნოდ განაცხადეს, რომ **„ევროპის სასამართლო შეცდა. ჯვარცმის გამოსახულება კლასში არა მარტო რელიგიური სიმბოლოა, არამედ – ჩვენი ტრადიციის სიმბოლოც"; „ქრისტიანული იდენტურობა ევროპის ფესვებია".**

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას **„მცდარი და ბეცი"** უწოდეს.

ციტირებულ დასკვნებში მთავარი სიტყვები **შეცდომა** და **ტრადიციაა**, რომლებიც, უფრო მართებული იქნებოდა, შეეცვალათ რეალობის ამსახველი სიტყვებით – **შეგნებული მოქმედება** და **შეტევა რწმენაზე**, რაც **„მსოფლიო მთავრობის"** ამერიკანიზაციის გლობალური პოლიტიკის ამ კონკრეტულ გამოვლენას გაცილებით ობიექტურად წარმოაჩენდა.

იტალიას შეუტიეს იმიტომ, რომ კათოლიციზმის ცენტრია.

საქართველოს შეუტიეს იმიტომ, რომ მართლმადიდებლობის ბურჯია.

ეს ბურჯი თუ გამოეცალა ქრისტიანობას, ჩამოიქცევა და თავზე დაგვემხობა ეროვნულობაც.

რა არის ეროვნულობა?

ის, რაც პასპორტებიდან ამოგვიშალეს: წვრილმანით დაიწყეს, ფართო ფრონტით შემოგვიტიეს.

ჯვარცმის აკრძალვა ეროვნულობასთან უშუალო კავშირში რომ არის, იტალიაში განვითარებულმა პროცესებმა დაადასტურა. იტალიელთა უმრავლესობა, მიუხედავად სარწმუნოებრივი კუთვნილებისა, სასკოლო კლასებიდან ჯვრების გატანას წინ აღუდგა. **აღშფოთება არ დამალეს ათეისტების ორგანიზაციათა წევრებმა.** მათ განაცხადეს, რომ სასამართლომ ხელჰყო იტალიის კულტურისა და იდენტურობის საფუძვლები.

გაიხსენეთ გაეროში ჩვენი ამჟამინდელი წარმომადგენლის, ძვირფასი სანტექნიკოსის კახა (ალექსანდრე) ბორისოვიჩის ხმალშემართული ბრძოლა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ქართულ სკოლებში სწავლების წინააღმდეგ.

ყველა დიდი ომი ადგილობრივი პროვოკაციებით იწყება, წინასწარ მზადდება ნიადაგი დიდი შეტევისათვის.

ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ჩვენი განათლებული მკითხველი ყურადღებას მიაქცევს ერთ ფაქტს, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ.

როგორც ვთქვით, იტალიის მთავრობა მაქსიმალურად გამოიყენებს უფლებას, გაასაჩივროს გადაწყვეტილება ჯვარცმის შესახებ.

თუ სასამართლო მხარს დაუჭერს იტალიის ხელისუფლებას, მაშინ აღნიშნულ საქმეს ხელმეორედ განიხილავენ. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარს არ დაკმაყოფილებენ, სასამართლოს ვერდიქტი მიღებიდან სამ თვეში ძალაში შევა. ეს ნიშნავს, რომ სკოლებმა კლასებიდან ჯვარცმა უნდა გაიტანონ, რადგან მისი ადგილზე დატოვება შეიძლება არ მოეწონოთ სხვა აღმსარებლობის ბავშვებს.

და, რაც მთავარია: **ეს არის სტრასბურგის სასამართლოს პირველი გადაწყვეტილება, რომელიც სკოლებში რელიგიური სიმბოლოების არსებობას ეხება.**

ევროსასამართლო შავებით იწყებს და აგებს.

აგებს! შეიძლება სამართლებრივი თვალსაზრისით – არა, მორალურით – განწირულია წაგებისთვის, რადგან ის რეაქცია, რომელიც **„სტრასბურგის ვერდიქტს"** მოჰყვა, ადასტურებს, რომ **ევროპა არავის მისცემს უფლებას, მოსპოს ცივილიზაციის მისეული მოდელი.** აშკარავდება, რომ **ეს განაჩენი მიმართულია ევროპული კულტურიდან ქრისტიანობის** რბილად ამოსაძირკვად. ამასთან, არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოებას ევროკავშირის ფარისევლობა, როცა იგი ამბობს ერთს და აკეთებს საპირისპიროს.

ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა.

ევროკავშირი აცხადებს, რომ რელიგიასთან, ღირსებასთან და მორალურ პრინციპებთან დაკავშირებული საკითხები მონაწილე ქვეყნების კომპეტენციაში რჩება, მაგრამ, როცა პიროვნება ან ადამიანების ჯგუფი მიმართავს ევროპულ სასამართლოებს, ნაცვლად იმისა, რომ გადააგზავნონ მათი საჩივრები შესაბამისი ქვეყნების ანალოგიურ დაწესებულებებში, თვითონ იწყებენ საქმის განხილვას.

ამ რეალობას აფიქსირებს ევროსაბჭოს ეპისკოპოსთა კონფერენციების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, **ეპისკოპოსი პეტრე იარეცკი**.

„თუ განვაგრძობთ ამ მიმართულებით სვლას, ევროკავშირი დაიშლება", – ასკვნის იგი.

საამისო პირველი ნიშანი უკვე გამოჩნდა: იტალიის სენატმა ევროპის ქვეყნებს მოუწოდა, გააუქმონ ადამიანის უფლებათა საკითხების ევროპის სასამართლო როგორც უსარგებლო ინსტიტუცია, რომელიც უკიდურეს მემარცხენე შეხედულებებს თავს გვახვევს.

საინტერესოა ისიც, რომ სასამართლოს ვერდიქტი **იტალიის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ დაგმო. იტალიის გაზეთი „Corriere della sera" ამტკიცებს, რომ იტალიაში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც გაბედავს „სტრასბურგის ვერდიქტის" მხარდაჭერას.**

და კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, მოულოდნელი რეაქცია: **სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება არ მოიწონეს ისლამისა და იუდაიზმის წარმომადგენლებმა.**

„ვინც ღმერთის ტაძარს დააქცევს, დააქცევს მას ღმერთი. ვინაიდან ღმერთის ტაძარი წმიდაა, ხოლო ესა ხართ თქვენ". (პირველი კორინთელთა მიმართ, 3,17).

არმაზ სანებლიძე

რედაქციის კომენტარი – ქვეყნის ტერიტორიული რღვევა არაფერია იმ ტრაგედიასთან შედარებით, რაც შეიძლება ქვეყნის სულიერ და რელიგიურ რღვევასთან დაკავშირებით დაგვატყდეს თავს.

გაზეთი “ილორი” უძღვება რუბრიკას “ათი საუკეთესო კლუბი”

ათი საუკეთესო კლუბი
“ბარსელონა”, ესპანეთი

დაარსებულია 1899 წელს,

სტადიონი: **“ნოუ კამპი”,** 115.000 მაყურებელი,

ესპანეთის ჩემპიონატის 16-გზის გამარჯვებული,

ესპანეთის თასის 24-გზის მფლობელი.

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი 1992 წელს,

ევროპის თასის მფლობელთა თასის: 1979, 1982, 1989, 1997 წლები,

ბაზრობათა თასი 1958,1960, 1966 წლები,

სუპერთასის მფლობელი 1992 წელს.

1992 წელს, მესამე ცდის შემდეგ, **“ბარსელონამ”** მაინც მოახერხა ევროპის ჩემპიონთა თასის დაუფლება, მას შემდეგ, რაც **“უემბლის”** სტადიონზე ანგარიშით 1:0 დაამარცხა **“სამპდორია”**. მანამდე კატალონიის კლუბი ორჯერ გავიდა ევროპის თასის მფლობელთა თასის ფინალში, მაგრამ ორჯერვე მას გამარჯვების ბედნიერება არ უწყალობა ფორტუნამ. კატალონიელთა გუნდი თითქოს მოჯადოებული იყო – ისეთ მატჩებს აგებდა, რომელიც ყველა პარამეტრების მიხედვით დამაჯერებლად უნდა მოეგო. მანამდე **“ბარსელონა”** უამრავი პრესტიჟული საფეხბურთო სპორტული ტროფეის მფლობელი გახდა: მან გაიმარჯვა ევროპის ბაზრობის თასის პირველ გათამაშებაში და სამჯერ მოიგო ევროპის თასის მფლობელთა თასი. მაგრამ, ისინი, თითქოს ღვთისაგან დაწყევლილი იყვნენ ევროპის ჩემპიონთა თასის მოპოვებისათვის გამართულ ტურნირებში.

1961 წელს **“ბარსელონამ”** შეუპოვარ ბრძოლაში შესძლო მისი მუდმივი მეტოქის მადრიდის **“რეალის”** გააფთრებული წინააღმდეგობის დაძლევა, რომელსაც წინა წელს ჰქონდა მოპოვებული ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. კატალონიელთა გუნდი ფინალში გავიდა. მაგრამ შვეიცარიის ქალაქ ბერნში გამართულ ფინალურ მატჩში იგი ლისაბონის **“ბენფიკასთან”** დამარცხდა. კატალონიელებმა სამი უადრესად სახიფათო დარტყმა განახორციელეს მეტოქის კარში, მაგრამ სამივეჯერ ბურთი ძელს მოახვედრეს. **“ბარსელონას”,** რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ შესანიშნავი ფეხბურთელები **ლუის სუარესი, ლადისლავ კუბალა, შანდორ კოშიჩი და ზოლტან ციბორი,** ყველა საშუალება გააჩნდა ამ მატჩში გამარჯვების მოსაპოვებლად, მაგრამ მათ ბედი არ სწყალობდათ. ამ საბედისწერო მატჩში **“ბენფიკამ”** გაიმარჯვა ანგარიშით 3:2.

1989 წელს იგივე ისტორია განმეორდა, მაგრამ იმ საბედისწერო შეცდომის წყალობით, რაც **“ბარსელონას”** მთავარმა მწვრთნელმა ტერი ვენეიბლსმა დაუშვა. მან რატომღაც ჩათვალა, რომ წინა თამაშში ტრავმირებული შესანიშნავი თავდამსხმელი სტივ არჩიბალდი მის წინაშე დასმულ ამოცანას თავს გაართმევდა და იგი მოედანზე სათამაშოდ გამოიყვანა. მატჩი ბუქარესტის **“სტიაუასთან”** სვეილიაში გაიმართა, რომლის ძირითად და დამატებით დროში მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ. დაინიშნა პენალტების სერია, სადაც ბუქარესტის **“სტიაუამ”** გაიმარჯვა და **“ბარსელონა”** ამჯერადაც თასის გარეშე დარჩა.

1980-იან წლებში **“ბარსელონას”** გუნდში დაბრუნდა ლეგენდარული იოჰან კრუიფი, მაგრამ ამჯერად მთავარი მწვრთნელის რანგში. ამ დროს გუნდში უკვე თამაშობდნენ შესანიშნავი ფეხბურთელები, მსოფლიო კლასის დიდოსტატები რონალდ კუმანი, ხრისტო სტოიჩკოვი და მიქაელ ლაუდრუპი, რომელთათვისაც გამარჯვების განწყობის შექმნა კრიუფს სრულიადაც არ გასჭირვებია. ამ გამარჯვებას კი ისინი მართლაც დიდი ხნის წინ იმსახურებდნენ... 1994 წელს **“ბარსელონა”** ზედიზედ მეოთხედ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, თანაც ისე, რომ პირველ სამ მატჩში გამარჯვებას მატჩის უკანასკნელ წუთებზე გატანილი გოლების წყალობით აღწევდა. მათ შორის, **“ბარსელონასაგან”** დამარცხება ორჯერ იწვნია მისმა მუდმივმა მეტოქემ მადრიდის **“რეალმა”**.

მაგრამ ამ აღმაფრენას მალე ჩავარდნების სერია მოჰყვა და კატალონიელთა გუნდმა ბევრი ვერაფერი სახეირო თამაშები აჩვენა 1995 და 1996 წლების საფეხბურთო სეზონში. ერთი პერიოდი გუნდი სახიფათო ზონაშიც კი აღმოჩნდა. ჯოხი, ამ შემთხვევაშიც მთავარ მწვრთნელზე გადატყდა და იოჰან კრუიფი იძულებული გახდა მადრიდის **“ბარსელონა”** დაეტოვებინა. რვა წლის განმავლობაში, რაც იგი **“ბარსას”** ედგა სათავეში, კატალონიელებმა ბევრს მიაღწიეს, მაგრამ თავად **“მფრინავ ჰოლანდიელად”** წოდებულმა კრუიფმა გადაწყვიტა, რომ სხვაგან უნდა ეძებნა ადგილი, რაც მას სავსებით არ გასჭირვებია. კრუიფის შემდეგ **“ბარსელონას”** მწვრთნელად დაინიშნა ბობი რობსონი, შემდეგ კი ლუის ვან გაალი, რომლის თავკაცობითაც **“ბარსელონამ”** 1999 წლის სეზონში დუბლი გაიფორმა – ესპანეთის ჩემპიონიც გახდა და ქვეყნის თასსაც დაეუფლა.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

ცოლ-ქმარი ავარიაში მოჰყვა. ცოლი არ დაზარალებულა, ქმარი კი მსუბუქი პანღურით გადარჩა;

* * *

გასული ათი წლის განმავლობაში საქართველოდან უცხოეთში სამუშაოდ წავიდა 1.670 ფიზიკოსი, 1.207 ქიმიკოსი, 1200 ფილოლოგი... მათი კვალიფიკაციით ყველა მოსავლელი მოხუცი კმაყოფილია...

* * *

ქართველი ფეხბურთელები ცდილობენ, ბევრი გოლი გაიტანონ... საკუთარ კარშიც კი.

* * *

ჩვენმა ღვინის ქარხნებმა ჩაიბარეს 1.000 ტონა ყურძენი, რაც 1.000 ტონით მეტია, ვიდრე სინამდვილეში...

* * *

– იცი, ამბობენ, რომ გლობალიზაციის გამო მალე აღარ იქნება აღარც იტალიური, არც ინგლისური, არც ამერიკული...

– ჰო, მეც გავიგე... ყველაფერი ჩინური იქნება!

უსასრულო ჭირთათმენა თვითმკვლელობაა, რაც მოუნანიებელი ბიბლიური ცოდვაა!

გაგრძელება

ლოცი მივიღე ჩემი მეგობრისგან წერილთან ერთად, რომლის ნაწყვეტსაც აქვე შემოგთავაზებთ:

“... გასულ ნიკოლოზობას, ახალგზრდა ქართველ ფეხბურთელებთან ერთად მომიწია ყინწვისის მონასტერში დილის წირვაზე ყოფნა. თბილისიდან ასი კილომეტრის დაშორებით, ულამაზეს ბუნებაში ნაქანდაკებ საოცარ ქმნილებას, მომლოცველი არ აკლდა, მაგრამ მათში აშკარად გამოირჩეოდნენ უვხოეთში მოთამაშე ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც შესაშური ბუნებრიობით აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას.

წირვის დამთავრების შემდეგ ტრაპეზზე მიგვიწვიეს მონასტრის სულიერმა მამებმა. იქაც გაგრძელდა ჩვენი შინაურული საუბარი, სხვა ქართულ პრობლემებთან ერთად, ქართულ ფეხბურთზეც. ჩემს კითხვაზე – რა მიზანს ემსახურება, არც ისე მაღალი დონის ზანგი ფეხბურთელების ჩამოყვანა საქართველოში – გულუბრყვილოდ და ალალად მიპასუხეს – არცერთი მათგანი ჩვენზე უკეთესი არ არის! განსხვავება ანაზღაურებაშია მხოლოდ. ჩვენ თუ 500 ლარს გვიხდიან თვეში, ზანგების ხელფასი 3.000 დოლარია. ყველაზე მეტად საწყენი კი, ქართველი გულშემატკივარის მონური დამოკიდებულებაა იმ შავკანიანი ფეხბურთელებისადმი – საკმარისია მათ ერთი უმნიშვნელო რამ გააკეთონ 90 წუთის მანძილზე, ლამის სახლში გაჰყვეს მაყურებელი, ჩვენ კი გამარჯობასაც არ გვეტყვიან!..”

მართლები არიან ჩვენი ბიჭები, მაგრამ ისინი უმთავრესს ვერ ხედავენ და ეს ბუნებრივიცაა – **უმთავრესი მზაკვრობა ზანგი ფეხბურთელების გაღმერთებაში დევს, რომ ყველგან და ყველაფერში, მათ შორის ყველაზე ემოციურ არენაზე ფეხბურთის სტადიონებზე, ქართველის თვალი და გონება უნდა მიეჩვოს იმის აღქმას, რომ შავი ფერის დანახვა არსად და დროის არცერთ მომენტში უცხო არ იყოს და გაკვირვებას არ იწვევდეს მასში! რადგანაც საქართველოსთვის დაგეგმილი მომავლის მიხედვით 2015 წლისთვის მისი მოსახლეობის ნახევარი ფერადკანიანი და უმეტესად “შავი მეტალიკი” ფერისა უნდა იყოს!..**

ეს არის საქართველოს ხელისუფალთა უახლოესი **“ქართულ-ეროვნული”** გეგმა!..

დავით შოთაძე, კობლენცი გერმანია.

P.S. ის იყო წერილი უნდა დამემთავრებინა, **კარენ ვართაპეტოვიჩი** მოადგა ჩემს სამწერლო რეზიდენციას, ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის განაპირას, მწვანეში მდგარ ავტოფარეხს ლუდით ხელში და მოსალმება და ჩემი დამოძღვრაც ერთად სცადა – **დავითჯან, რატომ იკლავ თავს ამდენი ისტორიის წერით, ხომ გითხარი თბილისი მალე სომხეთის დედაქალაქი უნდა გახდეს. სააკაშვილმა ამის გამო ქუთაისში დაიწყო პარლამენტის მშენებლობა...**

გაკვირვებულმა შევხედე. მიხვდა არაფერი ვიცოდი და შეცბუნებულმა გააგრძელა – **ტელევიზორი ჩართე, სატელიტზე აჩვენებენ, ქუთაისში ბეტონის დიდი კედელი ააფეთქეს და იქ დედა-შვილი დაიღუპაო.**

მართლაც, გამაოგნებელი ფაქტი აჩვენეს – მერაბ ბერძენიშვილის ქმნილება, გრანდიოზული დიდების მემორიალი (**კარენ ვართაპეტოვიჩისა და სააკაშვილისთვის ბეტონის კედელია!**) დღისით, მზისით, კვამლში და ბუღში გაეხვია და იქაურობა ბურუსში მოაქცია... ტელეარხ **“იმედის”** დიქტორმა მაყურებელს ამცნო, რომ – **დიდების მემორიალის აფეთქებას ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. აფეთქებიდან რამდენიმე ასეულ მეტრში რკინა-ბეტონის ნამსხვრევებმა დედა-შვილი იმსხვერპლა. საქართველოს პრეზიდენტმა, ამის გამო, საზღვარგარეთ ვიზიტი შეწყვიტა და დიდად დამწუხრებულია, პროკურატურა იძიებს მომხდარის მიზეზებს და დამნაშავეები სასტიკად დაისჯებიან!** (აქაც ტყული – **სააკაშვილს ვიზიტი უკვე დამთავრებული ჰქონდა...**)

საშინელებაა რაც მოხდა!.. საშინელებაა უდანაშაულო ადამიანთა სიკვდილი, რომელიც ჩვენი სამშობლოს ყოველდღიურობა გახდა, მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება – **საზოგადოებრივი მორალის, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის უქონლობაა, რომელმაც ავანტიურისტ სააკაშვილს და მის კრიმინალურ გარემოცვას უფლება დართო, დიდი მერაბ ბერძენიშვილის ეპოქალური ქმნილება (არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ხელისუფლებისას შეიქმნა იგი!) ხალხის დაუკითხავად მიწასთან გაესწორებინა და მას უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლი მოჰყვა!..**

დააკვირდით – ყველაფერი ეს წმინდა ნიკოლოზობის დღეს ხდება, როცა დიდი და პატარა სალოცავადაა ეკლესია მონასტრებში გასული, ქუთაისში დიდების მემორიალს აფეთქებენ და სათადარიგო პარლამენტის ასაშენებლად ადგილს ანთავისუფლებენ!..

კარენ ვართაპეტოვიჩის თქმისა არ იყოს – ვინიცობაა სომხებმა მართლა გამოგვაძევონ თბილისიდან, თადარიგი დროზე უნდა დავიჭიროთო!..

აქ ყველაფერი ნათელია, არაფერია გამოსაძიებელი, დამნაშავე ქვეყნის შეურაცხადი პრეზიდენტი და მისი კრიმინალური გარემოცვაა, რომლებმაც წირვა-ლოცვა და ზეიმის ნაცვლად, ნიკოლოზობა დღეს, ნგრევა და სიკვდილი დაუბედა საქართველოს!

მეტი რაღა გინდათ ჩემო ძვირფასო ქართველებო, ხომ ხედავთ – **სადაც სააკაშვილი და მისი მთავრობა გამოჩნდებიან ნგრევა და სიკვდილი აღარ გვცილდება!**

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე	რედაქციის მისამართია: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1 სარეგ.№01018002930	მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია	anaklia@web.de e-mail:elisabetthal@yahoo.de რეკლამის განთავსება 899-57-33-22 893-51-01-71 899-34-37-27